ევროკავშირი საქართველოსთვის

Project funded by the European Union

EaP Eastern Partnership

HRRC

ადამიანის უფლებების კვლევის ცენტრი

HUMAN RIGHTS RESEARCH CENTER

ახალგაზრდობის სააგენტოს სამწლიანი რეფორმის შუალედური მონიტორინგი

კვლევის ანგარიში

2022

ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

EaP Eastern Partnership

HRRC
ადამიანის უფლებების კვლევის ცენტრი
HUMAN RIGHTS RESEARCH CENTER

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების პროგრამის ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და შესაძლოა, არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

კვლევითი ჯგუფი მადლობას უხდის ფოკუს-ჯგუფების მონაწილე ყველა იმ ახალგაზრდულ მუშაკსა და ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელმაც საკუთარი დრო არ დაიშურა და ამით კვლევის განხორციელება შესაძლებელი გახადა.

კვლევის ავტორი: დავით თოთაძე

სარჩევი

ძირითადი მიგნებები 5

შესავალი 7

მეთოდოლოგია 8

კვლევის შეზღუდვები 8

კვლევის შედეგები 9

ზოგადი მიმოხილვა 9
- ახალგაზრდულ მუშაკთა მოსამზადებელი სასერტიფიკატო პროგრამა 9
- პირველი მოწვევის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო 10
- მილიონიანი ფონდის საგრანტო კონკურსი 10

პროგრამის შესარჩევი ეტაპი 11
- ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა 11
- მონაწილეთა დაკომპლექტება 11

პროგრამის განხორციელების ეტაპი 16
- ჯგუფური დინამიკა 16
- მენტორინგი 19
- პროფესიული სასწავლებლების ჩართულობა 21
- რესურსებზე წვდომა 22

პროგრამაში მონაწილეობის შედეგად მიღებული სარგებელი 25
- პროფესიული ქსელი 25
- პროფესიული განვითარება 26

პროგრამის შედეგების მდგრადობა 27
- მდგრადი შედეგი 27
- არამდგრადი შედეგი 28

ახალგაზრდობის სააგენტოს საქმიანობის მიმართ დამოკიდებულება 31
- პოზიტიური დამოკიდებულება 31
- ნეგატიური დამოკიდებულება 32

დასკვნა 36

რეკომენდაციები 38

ძირითადი მიგნებები

- ინფორმაცია პროგრამების შესახებ საკმარისად აქტიურად ვრცელდებოდა, რომ დაინტერესებულ მხარეებს მათ შესახებ შეეტყოთ;
- მონაწილეობის ინტერესის გამოხატვისათვის საჭირო ონლაინ ფორმა იყო მარტივი, გასაგები ენით გადმოცემული და რეგისტრაციის ეტაპზე მნიშვნელოვანი ტექნიკური სირთულე არ შეუქმნია;
- კანდიდატებთან გასაუბრება საკმაოდ ორგანიზებულად წარიმართა და დამატებითი შეკითხვები არ გაჩენილა;
- კანდიდატების შერჩევის პროცედურებზე გამოქვეყნებული ინფორმაცია არასაკმარისად ცხადი აღმოჩნდა;
- კანდიდატების შერჩევის კრიტერიუმები უმრავლესობის მხრიდან პოზიტიურად შეფასდა;
- მონაწილეთა დაკომპლექტების შედეგები საერთო კმაყოფილებას იწვევდა;
- სერტიფიცირების პროგრამის მონაწილე ახალგაზრდული მუშაკები კოლეჯების წარმომადგენელთა კანდიდატურების შერჩევის პროცედურებზე ინფორმაციას არ ფლობდნენ;
- სერტიფიცირების პროგრამის მონაწილე კოლეჯების წარმომადგენლების არაკვალიფიციურობა ახალგაზრდული მუშაკებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა აღმოჩნდა;
- პირველი მოწვევის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოში ვერცერთი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლელი, მაგრამ ერთი სპეციალური საჭიროების მქონე პირი, მოხვდა;
- პირველი მოწვევის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოში წარმატებული ჯგუფური დინამიკა ვერ შეიქმნა, რადგან წევრები საბჭოს დებულებას განსხვავებულად იაზრებდნენ;
- პროგრამების განხორციელებამდე აუცილებელი ინფორმაციული შეხვედრების ორგანიზება საერთოდ არ, ანდა არასაკმარისად, მოხდა;
- მენტორობა, ანუ ინფორმაციული მხარდაჭერის აღმოჩენა, საერთოდ არ, ანდა არასაკმარისად, მოხდა;
- სერტიფიცირების პროგრამის განხორციელებისას პროფსასწავლებლები და მუნიციპალიტეტები არასაკმარისად იყვნენ ჩართულნი;
- ახალგაზრდობის სააგენტო სერტიფიცირების პროგრამაში პროფსასწავლებლებისა და მუნიციპალიტეტების ჩართულობას არასაკმარისად აქტიურად ამოწმებდა;
- სააგენტოს, პროფსასწავლებლებსა და მუნიციპალიტეტებს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობა ვერ შედგა;
- სერტიფიცირების პროგრამის მონაწილე ახალგაზრდული მუშაკები პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის საკუთარ, მათ შორის ფინანსურ, რესურსებს იყენებდნენ;
- სერტიფიცირების პროგრამის ბიუჯეტი მოქნილობისა და ხელმისაწვდომობის კუთხით პრობლემას წარმოადგენდა;

- უკლებლივ ყველა მონაწილე ყველაზე დიდ შენაძენად პროფესიული კავშირების შექმნის შესაძლებლობას მიიჩნევდა;
- პროგრამების განხორციელების ეტაპებზე გაჩენილი არაერთი გამოწვევის მიუხედავად, მონაწილეთა უმრავლესობამ, საკუთარი შრომის წყალობით, კომპეტენციების განვითარება შეძლო;
- მილიონიანი ფონდის საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული პროექტები ყველაზე მეტად მდგრადნი აღმოჩნდნენ;
- სერტიფიცირების პროგრამის დასრულებას არცერთი ახალგაზრდული მუშაკის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენა არ მოუხდენია;
- სერტიფიცირებული ახალგაზრდული მუშაკები ახალგაზრდულ სფეროში კვლავ საკუთარი რესურსებისა და ენთუზეაზმის წყალობით რჩებიან;
- სერტიფიცირების პროგრამაში ჩართული პროფსასწავლებლის ბაზაზე შექმნილმა ახალგაზრდულმა კლუბებმა, უმრავლეს შემთხვევაში, პროგრამის დასრულების შემდეგ საქმიანობა შეწყვიტეს;
- ახალგაზრდობის სააგენტოს, როგორც დამოუკიდებელი ორგანოს, შექმნა აბსოლუტურად ყველა მონაწილის მიერ პოზიტიურად შეფასდა;
- მილიონიანი ფონდის საგრანტო კონკურსის მონაწილეების მხრიდან პროგრამის ადმინისტრირების ნაწილი მკვეთრად ნეგატიურად შეფასდა;
- სააგენტოში განხორციელებულმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა, რომელიც კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან მიერთებით იქნა გამოწვეული, ახალგაზრდულ სფეროზე ნეგატიური გავლენა იქონია;
- სააგენტოს საქმიანობა აბსოლუტურად გაუმჭირვალე და დაფარული გახდა, რაც ახალგაზრდული სფეროს მომავლის განსაზღვრას ართულებს.

შესავალი

2019 წლის სექტემბერში, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო დაარსდა. მისი შექმნიდან მალევე, 8 მიმართულების (ფინანსები; ბაზარი; საჯარო პოლიტიკა; ადამიანური კაპიტალი; ორგანიზაციები; ცოდნა ახალგაზრდების შესახებ; ინფრასტრუქტურა; კულტურა და დამოკიდებულება) მქონე სამწლიანი რეფორმის[1] შესახებ გახდა ცნობილი, რომელიც ძლიერი და მდგრადი ახალგაზრდული სფეროს ეკოსისტემის ჩამოყალიბებას მოემსახურებოდა. სააგენტოს საქმიანობის გარე შეფასება არასოდეს მომხდარა და ამ კვლევას სწორედ ამისი შეცვლა სურდა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თავდაპირველად სააგენტო პრემიერის აპარატს ექვემდებარებოდა[2] და დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხი გააჩნდა. 2021 წლის 16 მარტს, საქართველოს პარლამენტმა კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცალკე ჩამოყალიბებას მხარი მესამე მოსმენით დაუჭირა (79 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი). ამ გზით, ახალგაზრდობის სააგენტო საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მოექცა[3]. იმის გათვალისწინებით, რომ მთავრობის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და რაც მთავარია თავად ახალგაზრდებთან, კონსულტაციის გარეშე[4], გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ აღნიშნული შერწყმა ახალგაზრდული სფეროსთვის დამაზიანებელი იქნებოდა.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა ჩატარებულიყო მტკიცებულებებზე დაფუძნებული კვლევა ახალგაზრდობის სააგენტოს სამწლიანი რეფორმის შუალედური მონიტორინგისთვის, რათა შეფასებულიყო, თუ როგორ ხდებოდა ეროვნულ დონეზე საჯარო სერვისების მიწოდება.

შუალედური მონიტორინგი ფოკუსირდა სამწლიანი რეფორმის სამი ძირითადი პროგრამის - (ა) ახალგაზრდულ მუშაკთა მოსამზადებელი სასერტიფიკატო პროგრამა; (ბ) ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო (პირველი და მეორე მოწვევა) და (გ) მილიონიანი ფონდის საგრანტო კონკურსი, ხარისხისა და მდგრადობის შესწავლაზე.

კვლევის მიზნის მისაღწევად, შემდეგი ამოცანები იქნა დასახული:

- სააგენტოს საქმიანობის შეფასება საკუთარი ანგარიშების საფუძველზე;
- დისკუსანტთა მხრიდან, პროგრამების შესარჩევი ეტაპების მიმართ არსებული დამოკიდებულებების განსაზღვრა;

---

[1] სამწლიანი რეფორმა. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3UxxSDV (ბოლოჯერ ნანახია: 3 ოქტომბერი, 2022).

[2] საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ახალგაზრდობის სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების თაობაზე. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Tc3u16 (ბოლოჯერ ნანახია: 3 ოქტომბერი, 2022).

[3] „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ახალგაზრდობის სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 აგვისტოს #411 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DNHIuZ (ბოლოჯერ ნანახია: 3 ოქტომბერი, 2022).

[4] ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს განცხადება. 29 იანვარი, 2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3WvXORE (ბოლოჯერ ნანახია: 3 ოქტომბერი, 2022).

- დისკუსანტთა მხრიდან, პროგრამების განხორციელების ეტაპების მიმართ არსებული დამოკიდებულებების განსაზღვრა;
- დისკუსანტთა მხრიდან, პროგრამებში მონაწილეობის შედეგად მიღებული სარგებლის განსაზღვრა;
- დისკუსანტთა მხრიდან, პროგრამების შედეგების მდგრადობის განსაზღვრა;
- დისკუსანტთა მხრიდან, ახალგაზრდობის სააგენტოს საქმიანობის მიმართ არსებული დამოკიდებულებების განსაზღვრა.

მეთოდოლოგია

ფოკუს-ჯგუფის მეთოდის გამოყენებით, რომელიც თვისებრივი კვლევის მეთოდია, პროგრამების მონაწილეთა მხრიდან, პროგრამებსა და ზოგადად სააგენტოს საქმიანობის შესახებ, სიღრმისეული ინფორმაციის მიღება გახდა შესაძლებელი. ჯამში, პლატფორმა „ზუმის“ გამოყენებით 6 ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა. მონაწილეები შეირჩნენ ზემოაღნიშნული პროგრამების ბენეფიციარებს შორის და ამ გზით წარმოადგენენ სხვადასხვა რეგიონს, ასაკობრივ ჯგუფსა და სქესს. მონაწილეთა განაწილება იყო შემდეგი:

ცხრილი №1

კოდი	პროგრამა	ფოკუს-ჯგუფის რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა
YW	ახალგაზრდულ მუშაკთა მოსამზადებელი სასერტიფიკატო პროგრამა	3	24
YC_1	პირველი მოწვევის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო	2	16
MFG	მილიონიანი ფონდის საგრანტო კონკურსი	1	8
სულ		6	48

ფოკუს-ჯგუფები მიმდინარე წლის 21-29 აგვისტოს პერიოდში ჩატარდა. თითო ჯგუფის ხანგრძლივობა დაახლოებით 90 წუთს შეადგენდა. პროცესს უძღვებოდა ერთი მოდერატორი. მონაწილეებმა პროგრამების შესარჩევ და განხორციელების ეტაპებზე, მიღებულ სარგებელზე, შედეგების მდგრადობასა და ახალგაზრდობის სააგენტოს საქმიანობის მიმართ არსებულ დამოკიდებულებებზე ისაუბრეს. მონაწილეების ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე, ყველა შეხვედრის ვიდეოჩაწერა მოხდა. ინფორმაციის დამუშავების ეტაპზე, თითოეული შეხვედრის დეტალური ტრანსკრიპტი დაიწერა, ხოლო ვიდეოჩანაწერები წაიშალა.

კვლევის შეზღუდვები

იმის გათვალისწინებით, რომ კვლევა მეტწილად თვისებრივია, მას შიდა ვალიდობა უფრო მეტი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა მიღებული შედეგების განზოგადება

რთული აღმოჩნდეს. კვლევაში ძირითადად გაანალიზებული და წარმოდგენილია ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა სუბიექტური დამოკიდებულებები.

გარდა ამისა, სააგენტოს საქმიანობის საკუთარი ანგარიშების საფუძველზე შეფასება ვერ მოხერხდა. არაფერია ცნობილი შეფასებისა და მონიტორინგის იმ ინტრუმენტის შესახებ, რომელსაც აღნიშნული უწყება საკუთარი საქმიანობის შეფასებისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იყენებს. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან რამდენიმეთვიანი, აქტიური, ონლაინ კომუნიკაციისა და დაპირებული თანამშრომლობის მიუხედავად, ინფორმაცია არ გაიცა. ბოლოს, 2022 წლის 6 ივლისს, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსა (წერილის #179) და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში (წერილის #26288) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მოთხოვნა მყარი სახითაც შევიდა. თუმცა, ეს მოთხოვნებიც უპასუხოდ დარჩნენ. კომუნიკაციის იგივე სტრატეგია არჩია მეორე მოწვევის ახალგაზრდულმა მრჩეველთა საბჭომაც, ანუ თავმჯდომარემ თანამშრომლობის დაპირება გასცა, მაგრამ შემდეგ კომუნიკაცია სრულად შეწყვიტა. ამის გამო, მათთან 2 ფოკუს-ჯგუფის (ჯამში 16 ადამიანი, 8 მონაწილე თითო ჯგუფში) ჩატარება ვერ მოხერხდა. შედეგად, კვლევაში მათი პოზიცია ვერ მოხვდა.

კვლევის შედეგები

ზოგადი მიმოხილვა

ახალგაზრდულ მუშაკთა მოსამზადებელი სასერტიფიკატო პროგრამა

ახალგაზრდობის სააგენტოს სამწლიანი რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ახალგაზრდული მუშაკების პროფესიონალიზაცია და ინსტიტუციონალიზაცია იყო. ამისათვის, შემდეგი ამოცანები იქნა დასახული: (ა) საქართველოში ახალგაზრდული მუშაკის აღიარებულ პროფესიად ჩამოყალიბება; (ბ) პრაქტიკოსი ახალგაზრდული მუშაკების პროფესიული გადამზადება; (გ) ხარისხზე ორიენტირებული ახალგაზრდული საქმიანობის არეალის გაფართოება მთელი ქვეყნის მასშტაბით. ახალგაზრდულ მუშაკთა მოსამზადებელ სასერტიფიკატო პროგრამაზე განაცხადების მიღება 2020 წლის 30 ივლისს გამოცხადდა[5]. პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად მთელი ქვეყნის მასშტაბით, 21+ ასაკის, 30 პრაქტიკოსი ახალგაზრდული მუშაკი შეირჩა, ხოლო სწავლება 6 თვის მანძილზე მიმდინარეობდა. პროგრამა ასევე ითვალისწინებდა პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენელთა ჩართვას, რათა მათ პროგრამის დასრულების შემდგომ კოლეჯის ბაზაზე ახალგაზრდული კლუბების ჩამოყალიბებასა და გაძლიერების პროცესში მიეღოთ მონაწილეობა.

[5] გახდი ახალგაზრდული მუშაკი - ეს პროფესიაა! 30 ივლისი, 2020. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3howdCk (ბოლოჯერ ნანახია: 3 ოქტომბერი, 2022).

კვლევისთვის სასწავლო კურსის მონაწილე 30 სერტიფიცირებული მუშაკიდან 24-ის შერჩევა მოხდა.

პირველი მოწვევის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო

ახალგაზრდობის სააგენტომ, სამწლიანი რეფორმის ერთ-ერთ საკვანძო საკითხად მონაწილეობრივი ახალგაზრდული პოლიტიკა გამოჰყო. ახალგაზრდობის მონაწილეობრივი პოლიტიკა გულისხმობდა ახალგაზრდების ჩართვას, როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეზე, იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებიც მათ ეხებოდათ. აღნიშნული მიმართულების განსავითარებლად, ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო შეიქმნა. საბჭო იყო სრულიად მოხალისეობრივი და მიზნად ისახავდა უშუალოდ და მხოლოდ სააგენტოს საქმიანობაში ახალგაზრდების ინტერესების გათვალისწინებას. პირველი მოწვევის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს დასაკომპლექტებლად, მსურველთა განაცხადების მიღება 2020 წლის 13 მაისს დაიწყო[6] (მეორე მოწვევის - 2021 წლის 7 ივლისს[7]). კონკურსში მონაწილეობა შეეძლოთ 18-29 წლის (საინტერესოა, რომ მეორე მოწვევის საბჭოში მოხვედრა უკვე 14-29 წლის პირებს შეეძლოთ), ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მთელი საქართველოს მასშტაბით, რომელთაც ახალგაზრდული პოლიტიკა აინტერესებდათ და ამ კუთხით გამოცდილებას ფლობდნენ. საბჭოს 22 წევრი, ახალგაზრდული ორგანიზაციებიდან შეირჩა, ღია კონკურსის წესით, ხოლო 1 კანდიდატი საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების ქოლგა ორგანიზაციამ წარადგინა. საბჭოს საქმიანობისთვის ერთწლიანი მანდატი განისაზღვრა.

კვლევისთვის პირველი მოწვევის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს 23 წევრიდან 16 შეირჩა.

მილიონიანი ფონდის საგრანტო კონკურსი

2020 წლის 24 თებერვალს, ახალგაზდობის სააგენტომ ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ შემუშავებული პროექტების დაფინანსების მიზნით საგრანტო კონკურსი გამოაცხადა[8]. დაფინანსების სრული ოდენობა 1 150 000 ლარს შეადგენდა და ორი თემატური მიმართულების ფარგლებში, პროექტების დაფინანსებას გულისხმობდა. საგრანტო პროექტის განხორციელების ვადად 10 თვე განისაზღვრა. საგრანტო პირობებით მოითხოვებოდა, რომ შექმნილ პლატფორმას საგრანტო პროექტის დასრულების შემდეგ,

---

[6] გახდი „ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს“ წევრი. 13 მაისი, 2020. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Uwn6xV (ბოლოჯერ ნანახია: 3 ოქტომბერი, 2022).

[7] გახდი ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრი. 7 ივლისი, 2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hdmTBf (ბოლოჯერ ნანახია: 3 ოქტომბერი, 2022).

[8] მილიონიანი ფონდი საგრანტო კონკურსისთვის. 24 თებერვალი, 2020. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3UD8rkF (ბოლოჯერ ნანახია: 3 ოქტომბერი, 2022).

ფუნქციონირება განეგრძო და გრძელვადიან პერსპექტივაში, მდგრადი და განმეორებადი შედეგები უზრუნველყო. კონკურსში მონაწილეობა შეეძლოთ რეგიონული ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლებს, მთელი საქართველოს მასშტაბით.

კვლევისთვის გრანტის მიმღები 14 ორგანიზაციიდან 8 შეირჩა.

პროგრამის შესარჩევი ეტაპი

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა - ყველა თემატური ფოკუს-ჯგუფის მონაწილე აღნიშნავდა, რომ პროგრამების შესახებ ინფორმაცია საკმარისად აქტიურად ვრცელდებოდა, რომ დაინტერესებულ მხარეებს მათ შესახებ შეეტყოთ:

> *„პროგრამა [ახალგაზრდულ მუშაკთა მოსამზადებელი სასერტიფიკატო პროგრამა] საკმაოდ იყო „გაპიარებული“. თუკი ხარ სფეროში და გაინტერესებს თემა, რთული არ იქნებოდა ინფორმაციის მიღება“ [YW]*

ახალგაზრდულ მუშაკთა მოსამზადებელი სასერტიფიკატო პროგრამის შემთხვევაში, პროფესიული სასწავლებების წარმომადგენელთა ინფორმირებულობის საკითხი ცალკე განხილვას იმსახურებს. დისკუსანტთა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ კოლეჯების წარმომადგენლების შერჩევა მიზნობრივი იყო, ანუ მათ, განსხვავებით პრაქტიკოსი ახალგაზრდული მუშაკებისგან, შერჩევის პროცედურები არ გაუვლიათ და მათი კანდიდატურების წარდგენა კოლეჯების ადმინისტრაციების მხრიდან მოხდა. აღნიშნული ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებში რიგ კითხვებს იწვევდა და შერჩევის პროცესის ინკლუზიურობას ეჭვქვეშ აყენებდა:

> *„ცოტა არ იყოს კითხვის ნიშნები მაქვს ამასთან [შესარჩევ კონკურსთან] დაკავშირებით. თუნდაც, რამდენად ინფორმირებული იყო კოლეჯში ყველა ამის [კონკურსის] შესახებ“ [YW]*

მონაწილეთა დაკომპლექტება - სამივე პროგრამის შემთხვევაში, შერჩევის პროცესი უკლებლივ ყველა დისკუსანტის მიერ სამართლიანად შეფასდა. მათი თქმით, ინტერესის გამოხატვისათვის საჭირო ონლაინ ფორმა იყო მარტივი, გასაგები ენით გადმოცემული და რეგისტრაციის ეტაპზე მნიშვნელოვან ტექნიკურ სირთულეს არ შეხვედრიან. შემდეგი ეტაპი - გასაუბრება, საკმაოდ ორგანიზებულად წარიმართა და დამატებითი შეკითხვები არ გაჩენილა.

საერთო ჯამში, სამივე თემატური ფოკუს-ჯგუფის დისკუსანტები პროგრამების მონაწილეთა დაკომპლექტების შედეგებით კმაყოფილებას გამოხატავდნენ. მათი თქმით, ყველა მონაწილეს ახალგაზრდებთან მუშაობის საგრძნობი გამოცდილება ჰქონდა, საქმიანობის მიმართულებისა და რეგიონის მიუხედავად:

> *„მე რაც მომეწონა, ახლა [მეორე მოწვევის საბჭოს შემთხვევაში] არ ვიცი შერჩევა როგორ მოხდა, საკმაოდ მრავალფეროვანი ჯგუფი იყო. გარდა რეგიონისა, საქმიანობის მიმართულებაც იყო გათვალისწინებული. ამასთან, ისიც იყო, რომ ორგანიზაციებს უნდა წარვედგინეთ და მათი საქმიანობის მიმართულებაზე ყურადღება ცალკე მახვილდებოდა“ [YC_1]*

პრაქტიკული გამოცდილების მხრივ, ახალგაზრდულ მუშაკთა მოსამზადებელი სასერტიფიკატო პროგრამის მონაწილე პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლები, რომლებიც თავად კოლეჯებმა წარადგინეს და არაფორმალური განათლების კუთხით ნაკლებ ანდა ნულოვან გამოცდილებას ფლობდნენ გამონაკლისს წარმოადგენდნენ:

> *„ზოგს [კოლეჯის წარმომადგენელს] არც კი ჰქონდა გაგონილი არაფორმალური განათლება. შესაბამისად, ეს იყო ცოტა რთული, რადგან პროცესი არ ესმოდათ ისე, როგორც ჩვენ [ახალგაზრდულ მუშაკებს] და ხშირად იძახდნენ რომ რაღაცა სისულელეებს ვაკეთებდით“ [YW]*

სერტიფიცირების პროგრამის მონაწილეთა აზრით, გადამზადების პროგრამა იყო მათთვის, ვინც უკვე აქტიურად, წლების განმავლობაში საქმიანობდა ახალგაზრდულ სფეროში და ამ გზით მონაწილეობისათვის აუცილებელ ერთ-ერთ მოთხოვნას აკმაყოფილებდა და არა მათთვის, ვისაც შესაბამისი მინიმალური გამოცდილებაც კი არ გააჩნდა და ამასთან არც შერჩევის პროცედურები გაუვლია, ანუ კოლეჯის წარდგენის საფუძველზე იქნა შერჩეული:

> *„ვიღაცეები არანაირ ტრენინგებზე არ იყვნენ ნამყოფნი, ამიტომ მათ გაუჭირდათ, რამდენიმეს ვიტყოდი ვისაც გაუჭირდა. შესაბამისად ვიტყოდი, რომ მათი [კოლეჯის წარმომადგენლების] შერჩევა იყო შეცდომასავით. მათთვის უნდა ყოფილიყო მომზადება, ხოლო ჩვენთვის გადამზადება“ [YW]*

გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდული მუშაკები კოლეჯების წარმომადგენელთა კანდიდატურების შერჩევის პროცედურებზე ინფორმაციას არ ფლობდნენ. შესაძლოა,

სწორედ ამან გააჩნია მოსაზრება, რომ კოლეჯების წარმომადგენლებს შესაბამისი შერჩევის პროცედურები არ გაუვლიათ:

> *„კოლეჯის წარმომადგენლების შერჩევა როგორ მოხდა ჩემში კითხვებს იწვევს, არა იმიტომ რომ ვიღაცის კომპეტენციაში შემაქვს ეჭვი, უბრალოდ არ მაქვს იმის შეგრძნება თუ რამდენად ობიექტური იყო შერჩევის ნაწილი“ [YW]*

თავის მხრივ, პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენელთა შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, ვინც შერჩევის პროცედურა გაიარა, ანუ შესაბამისი განაცხადის გაგზავნით ინტერესი გამოხატა, გასაუბრება გაიარა და ისეთნიც, ვინც კოლეჯმა კონკურსის გარეშე წარადგინა:

> *„ჩემი, როგორც კოლეჯის წარმომადგენლის წარდგენა პირდაპირ მოხდა. მონაწილეთა შორის კოლეჯის ადმინისტრაციის შემოთავაზების საფუძველზე აღმოვჩნდი. შესაძლოა, იმიტომ რომ უკვე წლებია ახალგაზრდულ საქმიანობას ვეწევი“ [YW]*

პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლები, რომელთაც არაფორმალური განათლების კუთხით გამოცდილება გააჩნდათ პრაქტიკოსი ახალგაზრდული მუშაკების მოსაზრებას, კოლეჯების წარმომადგენელთა გამოუცდელობით გამოწვეული სირთულეების შესახებ, იზიარებდნენ:

> *„არაფორმალური განათლება არც იცოდა მართლა ბევრმა რა იყო. ეს იყო ჩვენთვის დისკომფორტი, რადგან როცა ერთად ვმუშაობდით, თითქოს სხვადასხვა ენაზე ვსაუბრობდით, ანუ ვიღაც იყო ძალიან დიდი გამოცდილებით და ვიღაც საერთოდ გამოუცდელი და ამის გამო მუშაობის პროცესში ძალიან დიდი პრობლემა იქმნებოდა“ [YW]*

პირველი მოწვევის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოში ერთი სპეციალური საჭიროების მქონე (სსმ) პირი მოხვდა. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების შერჩევა არ მომხდარა. საბჭოს წევრებს ინკლუზიურობის საკითხი ძალიან აღელვებდათ, ამიტომ აღნიშნულის შესწავლით დაინტერესდნენ და კითხვით ახალგაზრდობის სააგენტოს მიმართეს. პასუხად მიიღეს, რომ წევრობის ინტერესი ერთადერთმა სსმ პირმა გამოხატა, ხოლო ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონებიდან აქტივობა არ ყოფილა, ანუ განაცხადი არავის გაუკეთებია. თუმცა, როდესაც საბჭო მანდატის განხორციელებას შეუდგა, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მხრიდან მონაწილეობის სურვილი გამოითქვა:

„სააგენტომ როგორც გვითხრა, კონკურსის შესახებ ინფორმაციის გავრცელება რომ ხდებოდა, ეთნიკური უმცირესობებით უხვად დასახლებული რეგიონებიდან აქტიურობა არ იყო, მაგრამ როდესაც საქმიანობის განხორციელება დავიწყეთ, რიგ ორგანიზაციებს მონაწილეობის სურვილი გაუჩნდათ და მაშინ რაღაც გაურკვევლობები იყო“ [YC_1]

პირველი მოწვევის ახალგაზრდული საბჭოს ყოფილმა წევრებმა ასევე გააჟღერეს, რომ მხოლოდ დებულების გასაჯაროვება საკმარისი არ აღმოჩნდა. უკეთესი იქნებოდა შერჩევის კრიტერიუმები, კანდიდატის შეფასების სისტემა დასაწყისშივე უფრო მეტად ცხადი ყოფილიყო, რათა იმ შემდგომი გაურკვევლობების თავიდან აცილება გამხდარიყო შესაძლებელი, რომელთაც ადგილი ჰქონდათ:

„ბევრი ადამიანი, ვინც არ შეარჩიეს შემდეგ ითხოვდა [შეფასების] ქულებს და ამ ქულებს სხვების ქულებს ადარებდა. პროცესი თავიდანვე გამჭირვალე რომ ყოფილიყო და შეფასების სისტემა კანდიდატებისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო, სხვადასხვა დოკუმენტის წონა რომ სცოდნოდათ საერთო ქულის განსაზღვრისას, იქნებ ეს პრობლემა მერე აღარ დამდგარიყო“ [YC_1]

პირველი მოწვევის საბჭოს ყოფილი წევრების უმრავლესობის თქმით, მოთხოვნა, რომელიც კანდიდატს ორგანიზაციის წარმომადგენლობითობას ავალდებულებდა მისასალმებელი იყო, რადგან ორგანიზაციის რესურსის გამოყენებით, უფრო მეტ ახალგაზრდაზე წვდომა ხდებოდა შესაძლებელი. გარდა ამისა, ორგანიზაციის წარმომადგენლობითობა გარკვეულწილად საბჭოს მდგრადობას ხელს უწყობდა:

„ორგანიზაციის წარმომადგენლობითობა კარგი იყო, რადგან თუ პირი საბჭოს დატოვებას გადაწყვეტდა, მისი ჩანაცვლება მისივე ორგანიზაციის სხვა წევრით ხდებოდა. ეს მიდგომა, რაღაც კუთხით, მდგრადობასაც უზრუნველყოფდა“ [YC_1]

ამავე დროს, პირველი მოწვევის მრჩეველთა საბჭოს ერთ-ერთი წევრისგან გაჟღერდა, რომ კანდიდატისგან ორგანიზაციის წარმომადგენლობითობა არ უნდა მოითხოვებოდეს. ამ გზით, დამატებითი ბიუროკრატია ჩნდება, რომელიც დიდი ალბათობით, კონკურსის მონაწილისთვის არა დამხმარე მექანიზმად, არამედ შემაფერხებელ ბარიერად იქცევა:

„ვფიქრობ, რომ ორგანიზაციის წარმომადგენლობითობა აუცილებელი მოთხოვნა არ უნდა ყოფილიყო. პრაქტიკული მაგალითები მაქვს, რომ აუცილებელი არაა ადამიანი ორგანიზაციას წარმოადგენდეს რომ საკუთარ რეგიონში რაიმე საქმეს აკეთებდეს. ეს დამატებითი ბიუროკრატიაა, რომლის აუცილებლობასაც, ამ მომენტში, ვერ ვხვდები" [YC_1]

პირველი მოწვევის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტებისას, მნიშვნელოვნად მოითხოვებოდა, რომ კანდიდატს ფიზიკურად რეგიონში ეცხოვრა და საქმიანობა იქ ეწარმოებინა, ანუ რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებთან ჰქონოდა შეხება. შესაძლოა, ეს კრიტერიუმი რიგი კონკურსანტებისთვის შემაფერხებელი ბარიერი გამხდარიყო, თუმცა პირველი მოწვევის საბჭოს ყოფილი წევრების შეფასებით, აღნიშნული საკმაოდ სამართლიანი წინაპირობა იყო, რადგან ამ გზით საბჭო უფრო მეტად წარმომადგენლობითი ხდებოდა:

„რამდენიმე შემთხვევა გვქონდა, როდესაც ახალგაზრდულ სფეროში აქტიურმა ადამიანებმა განაცხადი გააკეთეს და ისინი არ შეარჩიეს. ამას დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. ატყდა ერთი ამბავი, რომ საბჭოში მოხვედრა ხდებოდა კორუფციული გზებითა და ნეპოტიზმით. მიმაჩნია, რომ რეგიონის წარმომადგენლობითობა ძალიან სამართლიანი მოთხოვნა იყო. მნიშვნელოვანი იყო, რომ ის ადამიანები ვყოფილიყავით, ვინც ნამდვილად რეგიონში ვცხოვრობდით, რა ხდებოდა ადგილზე ვხედავდით და ახალგაზრდებთან ადგილზე ვმუშაობდით" [YC_1]

შერჩევის კრიტერიუმები სერტიფიცირების პროგრამის მონაწილეების მხრიდანაც განსხვავებულად შეფასდნენ. შერჩევის პროცესში ყურადღება ენიჭებოდა ახალგაზრდული მუშაკის საქმიანობის მიმართულებასაც, რაც ერთგვარ დამაბრკოლებელ ბარიერს ქმნიდა. შესაბამისად, ზოგიერთი კანდიდატისთვის მიუღებელი მოთხოვნა აღმოჩნდა:

„მე ვფიქრობ, რომ პროგრამის მონაწილეები ამ მიმართულებით არ უნდა შეფასებულიყვნენ. ვისურვებდი, იმდენი ადგილი ყოფილიყო და იმდენჯერ განხორციელებულიყო [სერტიფიცირების პროგრამა], რომ ის გულის წყვეტა არ ყოფილიყო, რომელიც თუნდაც ჩემს მეგობრებს ჰქონდათ" [YW]

პროგრამის განხორციელების ეტაპი

ჯგუფური დინამიკა - სერტიფიცირების პროგრამის მონაწილე დისკუსანტების თქმით, მათთვის კოლეჯის წარმომადგენლებთან ერთად მუშაობა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა, რადგან ეს უკანასკნელნი არ იყვნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონენი. ახალგაზრდულ მუშაკებს ბენეფიციარ ახალგაზრდებთან ერთად, პროფსასწავლებლების წარმომადგენელთა მომზადებაც უწევდათ, რაც სამუშაო დატვირთვას კიდევ უფრო ზრდიდა. ამასთან, კოლეჯის წარმომადგენელთა მოტივაცია და მონდომება ნელ-ნელა მინელდა და საბოლოოდ სამუშაო შეხვედრებზე დასწრებაც შეწყვიტეს, რაც აჩენდა ეჭვს, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ, ისინი ახალგაზრდებთან დამოუკიდებლად მუშაობის გაგრძელებას ვეღარ შეძლებდნენ:

> *„ჩვენ გვიწევდა როგორც ჩვენი ბენეფიციარი ახალგაზრდების მომზადება, ისე ჩვენი კოლეგა - კოლეჯის წარმომადგენლების. ზოგჯერ შეხვედრებსაც ვატარებდით მაგრამ არ გვესწრებოდნენ. ბოლოს ხომ ისინი უნდა დარჩენილიყვნენ კოლეჯებში და ეს საქმიანობა გაეგრძელებინათ მაგრამ ვერ გააკეთებდნენ, რადგან ფაქტობრივად არ იცოდნენ რა უნდა გაეკეთებინათ“ [YW]*

სერტიფიცირების პროგრამის მონაწილეების შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული აუცილებელი დავალებების შესრულებისას, კოლეჯების წარმომადგენლები, ანუ ისინი ვისაც არაფორმალური განათლების კუთხით გამოცდილებას არ ფლობდნენ, იმდენად მნიშვნელოვან სირთულეებს წააწყდნენ, რომ რამდენიმემ საკუთარი სურვილით პროექტიც კი დატოვა, რადგან ფიქრობდა რომ დაკისრებულ მოვალეობებს თავს ვერ გაართმევდა:

> *„იმის მიუხედავად, რომ თავდაპირველად ძალიან დიდი ინტერესით ჩაერთვნენ, ეგონათ რაღაცისთვის თავის გართმევას ვერ შეძლებდნენ. ამას მოტივაციის გაქრობა მოჰყვა და 30 ადამიანიდან, 3 საკუთარი სურვილით გამოეთიშა და ვერ გახდა სერტიფიცირებული“ [YW]*

პირველი მოწვევის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს ყოფილი წევრები მიიჩნევდნენ, რომ წარმატებული ჯგუფური დინამიკის შექმნა ვერ მოხერხდა. მათი აზრით, საბჭოს დებულება ბუნდოვანი იყო და განსხვავებულად ინტერპრეტირების საშუალებას იძლეოდა. იმის მიუხედავად, რომ მრჩეველთა საბჭო ევროპის საბჭოს სტრუქტურის მიხედვით იყო აგებული, მან გამართულად მაინც ვერ იმუშავა. ერთ-ერთ პრობლემად საბჭოს მანდატის წევრების მხრიდან განსხვავებულად გააზრება

დასახელდა. აქვე, ყოფილი წევრების აზრით, საბჭოს მანდატი საფუძვლიანად არც საგენტოს წარმომადგენლებს ჰქონდათ გააზრებული. ამასთან, პრაქტიკული საქმიანობის დაწყებამდე შესაბამისი ინფორმაციული და გუნდის ფორმირებისათვის აუცილებელი შეხვედრების ორგანიზება არ მომხდარა, ამიტომ როგორც ყოფილი წევრები ამბობდნენ, საბჭოს წევრები ფაქტობრივად ბრმად, ანუ მოუმზადებლად გახდნენ. ამას ისიც ერთვოდა, რომ დატვირთულობის მასშტაბი საქმიანობის მოხალისეობრივ ბუნებასთან ძალზედ შეუსაბამო იყო. ყოველივე ამას, სამუშაო დატვირთვის ზრდასთან ერთად, წევრების მხრიდან საბჭოს საქმიანობაში ჩართულობის ხარისხის კლება მოჰყვა. საბოლოოდ საბჭოს 23 წევრიდან, აქტიური მაქსიმუმ 10 თუ დარჩა, რაც ჯგუფურ დინამიკას კიდევ უფრო მეტად ასუსტებდა:

> *„ორ ფლანგს შორის გაჭედილნი დავრჩით. ერთი ფლანგი თვლიდა, რომ „ენჯეოს“ დონეზე უნდა გვემუშავა, ანუ არაფორმალური სახე გვქონოდა, ხოლო მეორე ფორმალურ სტრუქტურას ვემხრობოდით. საბოლოოდ, არცერთმა ფლანგმა არ იცოდა რა უნდა გვეკეთებინა“ [YC_1]*

„ბოლოს ისე მოხდა, რომ 23 წევრიდან რამდენიმე იყო ისეთი, ვინც აქტიურად იყო ჩართული. ჩემთვის, ესეც უსამართლობის განცდას აჩენდა. საბჭოში ყველანი ერთად შემოვედით, იმ ერთიანი სულისკვეთებით, რომ რაღაც ისეთი საქმის კეთება გვსურდა, რომელიც [ახალგაზრდული] სფეროსთვისაც მნიშვნელოვანი იყო და ჩვენთვისაც, მაგრამ ბოლოს ყველაფერი რამდენიმე ადამიანის გასაკეთებელი აღმოჩნდებოდა ხოლმე“ [YC_1]

> *„ტრენინგები არ გვქონია. მაგალითად, ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საჯარო უწყებების, სსიპ-ების [საჯარო სამართლის იურიდიული პირები] მართვა, ბიუჯეტირება, სტრატეგიული დოკუმენტების მომზადება. ამ ინფორმაციის მიღებით, ჩვენი მანდატის, ანუ მრჩევლის ფუნქციის, შესრულებას უკეთ შევძლებდით. ეს ინფორმაცია რადგან არ იყო, პროცესები ყველას განსხვავებულად წარმოგვედგინა და ამას მოჰყვა სხვადასხვა პრობლემები“ [YC_1]*

სერტიფიცირების პროგრამის მონაწილეების აზრით, უშუალოდ პროგრამის განხორციელებამდე მიზანშეწონილი იქნებოდა ახალგაზრდობის სააგენტოსა და კოლეჯის წარმომადგენლების მიერ პროექტის ბენეფიციარ ახალგაზრდებთან

გაცნობითი შეხვედრების ჩატარება, რათა ისინი პროექტის პროგრამასა და მიზნებში უკეთ გარკვეულიყვნენ:

> *„რაც შეეხებათ პროფესიულ სასწავლებლებს, უკეთესი იქნებოდა უშუალოდ საქმიანობის დაწყებამდე ამ ახალგაზრდებისთვის ერთი გაცნობითი შეხვედრა მაინც გაეკეთებინათ, რომ მათ ზოგადი წარმოდგენა მაინც ჰქონოდათ თუ რისი გაკეთება იგეგმებოდა და რაში ჩართვას ვთხოვდით“ [YW]*

ამგვარი შეხვედრების არ გამართვამ პროექტის განხორციელების ეტაპზე მნიშვნელოვანი სირთულეები წამოჭრა, რადგან ახალგაზრდების უმრავლესობამ არც კი იცოდა ახალგაზრდული მუშაკი ვინ იყო, რას გულისხმობდა არაფორმალური განათლება და ზოგადად, ახალგაზრდული მუშაობა. შესაბამისად, საკუთარი როლის განსაზღვრაც უჭირდათ. შედეგად, პროექტის ჩატარებისას ეს დატვირთვაც ახალგაზრდულ მუშაკებზე მოდიოდა და რომ არა ისინი ბენეფიციარი ახალგაზრდებისთვის თავის მოყრა შეუძლებელი გახდებოდა:

> *„ბევრმა მათგანმა ხომ ისიც არ იცოდა ახალგაზრდა მუშაკი ვინ იყო. მთლიანად მთელი დაწოლა წამოვიდა ჩვენზე და ჩვენ რომ არ გვეაქტიურა ამ ახალგაზრდებს თავს ვერც მოვუყრიდით“ [YW]*

პროექტის განხორციელებაზე თეორიული სწავლებისთვის გამოყოფილი დროის რაოდენობამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. ფოკუს-ჯგუფების მონაწილე ახალგაზრდული მუშაკების აზრით, დღეების განსაზღვრული რაოდენობა მხოლოდ პრაქტიკოსი ახალგაზრდული მუშაკებისთვის თუ იქნებოდა საკმარისი, ხოლო პროფსასწავლებელთა წარმომადგენლები საკმარის ცოდნას ვერ მიიღებდნენ. მათი თქმით, აღნიშნულ მოსაზრებას ტრენერებიც იზიარებდნენ:

> *„ხუთდღიანი რამდენიმე შეხვედრა იყო. მათთვის, ვინც უკვე წლების განმავლობაში, აღიარების გარეშე, ახალგაზრდებთან მუშაობდა და ჰქონდა გამოცდილება, ნამდვილად საკმარისი იყო. თუმცა მგონია, რომ ისეთი ადამიანებისთვის, ვისაც აქამდე არაფორმალური განათლების კუთხით მსგავსი გამოცდილება არ ჰქონია, არ უმუშავიათ ახალგაზრდებთან, დღეების ეს რაოდენობა და კურსი საკმარისი არ იქნებოდა. ჩვენც გვითქვამს ეს, ტრენერებსაც უთქვამთ“ [YW]*

2-3 ახალგაზრდული მუშაკისგან შემდგარი ჯგუფების საკუთარ რეგიონებში განაწილების შემდეგ, მათ დაევალათ არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობები

ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის განეხორციელებინათ. დისკუსანტები აღნიშნავდნენ, რომ ბენეფიციარი ახალგაზრდების რაოდენობასთან დაკავშირებული მოთხოვნა, რეგიონთა უმრავლესობისთვის გადაჭარბებული ჩანდა, რადგან 30 აქტიური ახალგაზრდის მობილიზება, სოფლების დაცლის ფონზე, შეუძლებელი იყო:

> *„ცოტა გადაჭარბებულად მოგვეჩვენა ის რაოდენობა ახალგაზრდებისა, რომელთანაც უნდა გვემუშავა, მიღებული კომპეტენციები გადაგვეცა, რადგან 30 ადამიანისგან შემდგარ ჯგუფთან მუშაობა ინდივიდუალური, კონკრეტულ ახალგაზრდაზე მორგებული მიდგომის განხორციელების საშუალებას არ გვაძლევდა. ზოგიერთ რეგიონს მონაწილეების მოძიებაც გაუჭირდა“ [YW]*

მენტორინგი - ახალგაზრდულ მუშაკთა მოსამზადებელი სასერტიფიკატო პროგრამის ფარგლებში მონაწილეებისათვის მენტორული მხარდაჭერის აღმოჩენა გათვალისწინებული იყო. დისკუსანტთა თქმით, მენტორები იყვნენ გამოცდილი ახალგაზრდული მუშაკები, რომლებიც პროგრამის საორგანიზაციო ჯგუფმა პირდაპირი შერჩევის წესით აარჩია. ფოკუს-ჯგუფების მონაწილები მენტორინგის მნიშვნელოვნებაზე საუბრობდნენ. მიაჩნდათ, რომ პროგრამის ეფექტიანად განხორციელება, მაშინ, როდესაც შემჭიდროვებულ ვადებში უწევდათ აქტივობების ჩატარება, დიდწილად მათ ჩართულობაზე იყო დამოკიდებული. ისინი მენტორთა კვალიფიკაციას ეჭვს ქვეშ არ აყენებდნენ, თუმცა მათი მხრიდან ჩართულობას, იშვიათი გამონაკლისების გარდა, არასაკმარისად მიიჩნევდნენ. მეტიც, რამდენიმე რეგიონის შემთვევაში, მენტორთა ჩართვა საერთოდ არ მომხდარა, კოვიდპანდემიის თუ სხვა რიგ მიზეზთა გამო:

> *„მე ორგამად გამიჭირდა, რადგან მიწევდა ვყოფილიყავი ახალგაზრდული მუშაკი, მეწყვილის მენტორი, შუამავალი სააგენტოსა და კოლეჯს შორის, რადგან ჩვენ მენტორთან შეხვედრა არ გვქონია, საერთოდ, გარდა რამდენიმეწუთიანი შეხვედრისა“ [YW]*

„მენტორის ყურადღების გარეშე, ჩვენი კომპეტენციების ამარა დავრჩით, რადგან ეტყობა იმედი ჰქონდათ [პროგრამის ორგანიზატორებს], რომ ჩვენი გამოცდილების გამო საქმეს თავს დამოუკიდებლადაც გავართმევდით“ [YW]

მენტორინგის მნიშვნელოვნებასა და მის ნაკლებობაზე საუბრობდნენ პირველი მოწვევის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს ყოფილი წევრებიც. პროგრამა საკუთრივ მენტორინგს არ ითვალისწინებდა, თუმცა საბჭოს წევრების მხრიდან არსებობდა

მოლოდინი, რომ პროგრამის კოორდინატორები იქნებოდნენ ადამიანები, რომლებიც პროგრამის შინაარსობრივ მხარეს გააკონტროლებდნენ და მათ საჭირო ინფორმაციულ მხარდაჭერას აღმოუჩენდნენ. სამწუხაროდ, პირველი მოწვევის მრჩეველთა საბჭოს მთელი მანდატის განმავლობაში არ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამ პასუხისმგებლობას იკისრებდნენ, ამიტომ საბჭოს წევრებს ინფორმაციული ვაკუუმის შევსება საკუთარი ძალებით უწევდათ:

> *„ჩემთვის პროგრამის კოორდინატორი არის მენეჯერი, რომელიც შინაარსობრივთან დაკავშირებით მიმართულებას მომცემდა. დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ ეს ადამიანები მხოლოდ ტექნიკური ხასიათის საკითხების მოგვარებით იყვნენ დაკავებულნი. მაგალითად, მიკროფონის გამართულობასა და მაგიდაზე ინვენტარის სწორად განლაგებას ამოწმებდნენ. ისინი არ იყვნენ ადამიანები, რომლებიც შინაარსობრივ ნაწილში, საქმეს ხარისხიანად გააკეთებდნენ“ [YC_1]*

„ამ პროცესში [საბჭოს მანდატის შესრულებისას], მე ადამიანი ვერ დავინახე, რომელიც დაგვეხმარებოდა, ხელს ჩაგვჭიდებდა და საბჭოს მანდატში კარგად გაგვარკვევდა. შესაბამისად, იყო საბჭოს წევრთა ორ განაკად გაყოფაც“ [YC_1]

მენტორინგს არც მილიონიანი ფონდის საგრანტო კონკურსი ითვალისწინებდა, თუმცა გრანტის მიმღები ორგანიზაციების წარმომადგენლები სააგენტოსგან ინფორმაციულ მხარდაჭერას ელოდნენ. მათი აზრით, სააგენტოს პროფესიული კონსულტაციებიც ისევე აქტიურად უნდა ეწარმოებინა, როგორც საქმიანობის მონიტორინგს ანხორციელებდა. გრანტიორები კონსულტაციების აუცილებლობას არამხოლოდ დასაწყისში, არამედ მთელი პროგრამის განმავლობაში ხედავდნენ. გრანტის მიმღებთა შეფასებით, საგრანტო პროგრამა მეტისმეტად ხისტი და მომთხოვნი იყო და ეს იმის ფონზე, როდესაც ახალდაფუძნებული, რეგიონული ორგანიზაციების გაძლიერებაზე იყო მიმართული:

> *„ვფიქრობ, ნაკლებგამოცდილ ორგანიზაციებთან ურთიერთობისას ოდნავი მოქნილობა და უშუალო ურთიერთობები ძალიან მნიშვნელოვანია. პროგრამის წარმატებით განხორციელებაში ეს უფრო დიდ როლს ითამაშებდა. გაგზავნილ ანგარიშებში, ტექსტის აკრეფვისას უმნიშვნელო შეცდომა რომ გამპარვია, მაგალითად, მ-ს ნაცვლად ნ დამიწერია, უკან დაუბრუნებიათ, ჩასწორება და ხელახლა გაგზავნა მოუთხოვიათ“ [MFG]*

სერტიფიცირების პროგრამის მონაწილე ის ახალგაზრდული მუშაკები, რომლებიც მენტორებისგან მხარდაჭერას იღებდნენ, იმის მიუხედავად, რომ ამ მხარდაჭერას არასაკმარისად თვლიდნენ, ამ შეხვედრებს ჯგუფური დინამიკის ეფექტურობის გასაზრდელად იყენებდნენ:

> *„მენტორინგის პროცესი საერთოდ სხვანაირად იყო წასული, მაგრამ ის იყო კარგი, რომ ერთმანეთის მოსაზრებებს ვუსმენდით და მერე შეიძლებოდა მე და ჩემს მეწყვილეებს ახალი იდეები გაგვჩენოდა. შეიძლება მენტორისგან რჩევა, მხარდაჭერა არაფერი წამოსულიყო, მაგრამ მხარდაჭერა იყო ერთმანეთისგან, რადგან ერთმანეთს ვუსმენდით, როდესაც „ზუმში“ ვსაუბრობდით“ [YW]*

პროფესიული სასწავლებლების ჩართულობა - სერტიფიცირების პროგრამის მონაწილეების შეფასებით, პროფესიული სასწავლებლების ჩართულობა ისეთი აქტიური არ გამოდგა, როგორსაც ისინი ელოდნენ. დაწყებული კანდიდატების წარდგენით, სამუშაო სივრცის უზრუნველყოფით და დასრულებული პროგრამის შემდგომი საქმიანობით, კოლეჯებმა დაკისრებულ მოვალეობებს თავი ვერ გაართვეს. ყველა დისკუსანტი პრობლემას სახელშეკრულებო პირობების ბუნდოვანებაში ხედავდა, რომლის გამოც ჩართული მხარეების უფლება-მოვალეობები მკაფიოდ არ იყო განსაზღვრული:

> *„პროფესიული სასწავლებლების ჩართულობა ხელშეკრულებაში უფრო დეტალურად უნდა გაწერილიყო, რომ მათი როლი გამოკვეთილი ყოფილიყო, ხოლო მონაწილეები შეერჩიათ კონკურსის შედეგებით და არა უბრალოდ ხელი მოეკიდათ და გამოეგზავნათ“ [YW]*

> *„იმის მიუხედავად, რომ მემორანდუმით ჰქონდა [კოლეჯს] აღებული პასუხისმგებლობა ჩვენთვის მხარდაჭერა აღმოეჩინა, არათუ სამუშაო ფართის გამოყოფა, არამედ უბრალოდ დაინტერესება, მოკითხვაც კი არ მომხდარა“ [YW]*

ახალგაზრდული მუშაკების მიერ, ასევე პრობლემად დასახელებულდა, ახალგაზრდობის სააგენტოს მხრიდან, პროფსასწავლებლების ჩართულობის მონიტორინგის არარსებობა. მუშაკების უმრავლესობას ჰქონდა შეგრძნება, რომ თავად პროფესიულმა სასწავლებლებმაც არ იცოდნენ თუ რატომ შედიოდნენ ახალგაზრდული

მუშაკები მათ სასწავლებლებში. შესაბამისად, ვერც ბენეფიციარ ახალგაზრდებს ეტყოდნენ რა მოლოდინები არსებობდა მათ მიმართ:

> *„ვფიქრობ, აუცილებელი იყო, რომ სააგენტო ამ პროცესების მონიტორინგში უფრო აქტიურად ჩართულიყო და გადაემოწმებინა მხარდაჭერას რამდენად ვიღებდით. საერთოდ არ აინტერესებდათ [კოლეჯებს] რას ვაკეთებდით და რატომ ვაკეთებდით“ [YW]*

სასერტიფიკატო პროგრამის დასრულების შემდეგ, კოლეჯების ბაზაზე მუშაობის გაგრძელება ცალსახად დადებითად შეფასდა, თუმცა ამ იდეამ პრაქტიკული განხორციელება ვერ ჰპოვა, რადგან დისკუსანტების შეფასებით, სააგენტოსა და პროფსასწავლებლებს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობა ვერ შედგა:

> *„მიდგომა, რომ გადამზადებულ კადრებს პროფესიული სასწავლებლების ბაზაზე უნდა გვემუშავა, ანუ ახალი სასწავლო მეთოდების შეტანით ისინი გაგვეძლიერებინა, პროგრამის სიცოცხლიუნარიანობისთვის ძალიან კარგი იყო, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში არ გაამართლა, რადგან თანამშრომლობა სააგენტოსა და ამ სასწავლებლებს შორის არ იყო ისეთი მჭიდრო და ნაყოფიერი, როგორც წარმოგვედგინა“ [YW]*

„უფრო მეტი ჩართულობა იქნებოდა კარგი, რომ ჩვენი შრომა და იმხელა რესურსი, რაც ამ ახალგაზრდებთან მუშაობაში ჩავდეთ, პროექტის დასრულების შემდგომ, ასე მოწყვეტით არ დასრულებულიყო. ნამდვილად ყველას გვქონდა მოლოდინი, რომ ეს ახალგაზრდული საქმიანობა კოლეჯის ბაზაზე გაგრძელდებოდა. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა, ამიტომ ყველას გული დაგვწყდა“ [YW]

რესურსებზე წვდომა - ახალგაზრდულ მუშაკთა გადამზადების პროგრამის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ თავდაპირველად ინფორმაცია გაჟღერდა აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური მხარდაჭერის აღმოჩენის შესახებ. თუმცა, უშუალოდ პროექტის მიმდინარეობისას ფინანსებთან პირდაპირი წვდომა არ ჰქონიათ, რაც მუშაობის პროცესში მნიშვნელოვან სირთულეებს აჩენდა, რომელთან გამკლავებაც მუშაკებს საკუთარი რესურსებით უწევდათ:

„თავიდან ბოლომდე ყველაფერი ჩვენზე იყო ფინანსურად. საკუთარ დროსთან ერთად საკუთარი თანხების ხარჯვა გვიწევდა“ [YW]

„ახალგაზრდებს ჰქონდათ აქტივობები, რომელთა განხორციელებაც გვსურდა, მაგრამ ფინანსურად ეს გართულდა. ძალიან მიზერული თანხები იყო გამოყოფილი და მხოლოდ კონკრეტული მიზნით, ანუ მათი დანიშნულების შეცვლა არ შეგვეძლო“ [YW]

სერტიფიცირების პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული საქმიანობის ეტაპზე, აქტივობების შემჭიდროვებულ ვადებში განხორციელება მოითხოვებოდა, შესაბამისად არსებობდა ფინანსურ რესურსებზე მყისიერი წვდომის საჭიროება. ახალგაზრდული მუშაკების თქმით, ფინანსებთან მიმართებით დრო პრობლემას წარმოადგენდა არამხოლოდ თანხის მიღების, არამედ მისი გახარჯვის კუთხითაც. დისკუსანტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათთვის მიღებული ფულადი სახსრების ათვისებისათვის განსაზღვრული დროითი შეზღუდვა მნიშვნელოვანი პრობლემა გახდა:

„კი, იყო თანხა გამოყოფილი, მაგრამ პროცესები არ იყო კარგად ორგანიზებული. ბოლოსკენ მოვიტოვეთ, გვინდოდა გახარჯვა და ვერ გავხარჯეთ. ბევრმა ვერ გამოიყენა, და ბევრმა დააბრუნა. ჩვენც მოგვიწია თანხის დაბრუნება“ [YW]

„პანდემიის გამო, აქტივობის განხორციელება ბოლოსთვის რომ მოვიტოვეთ, თანხაც ველარ ავითვისეთ. დაფინანსების მიღებას დრო სჭირდებოდა, ამიტომ ერთადერთ გამოსავლად იმ კომპანიებთან ნაცნობობა გვესახებოდა, რომლებიც საჭირო მასალას წინასწარ, ანუ გასამრჯელოს მიღების გარეშე, მოგვაწვდიდნენ. თანხის ათვისების ვადა როდემდე იყო ეგეც არ ვიცოდით“ [YW]

კოვიდპანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვები მნიშვნელოვანი გამოწვევა აღმოჩნდა. არსებობდა მოსაზრება, რომ ონლაინ სივრცეზე გადაწყობა ფიზიკურ სივრცეს სრულად მაინც ვერ ჩაანაცვლებდა. იმ დროს, როდესაც ღონისძიებების ფიზიკურ გარემოში გამართვა, გარკვეული რეგულაციების გათვალისწინებით, მაგრამ მაინც შეიძლებოდა, ახალგაზრდული მუშაკები ყველანაირად ცდილობდნენ რომ ეს შესაძლებლობა გამოეყენებინათ. მაშინ, როდესაც შეზღუდვები საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილებაზეც დაწესდა, ისინი ბენეფიციარი ახალგაზრდებისთვის ტაქსით სარგებლობის ხარჯებს ანაზღაურებდნენ:

„პანდემიის დროს, ჩემი სახსრებით, ეს ბავშვები ტაქსებით მაღალმთიანი სოფლებიდან ჩამომყავდა. შეხვედრაზე მოსულ სააგენტოს წარმომადგენლებს ეს რომ გავუზიარე, ასეთი პასუხი მივიღე - „მთავარია, რომ პროექტი პროექტისთვის ჩატარდეს“. ამ სიტყვებმა ძალიან გამაბრაზა. ჩემი მოტივაცია ძალიან დაეცა. ვფიქრობდი, რომ თურმე უშედეგოდ ვმუშაობ“ [YW]

სერტიფიცირების პროგრამის თავდაპირველი ბიუჯეტი გაუთვალისწინებელ ხარჯებს არ ითვალისწინებდა, ამიტომ აქტივობების ონლაინ სივრცეში გადატანის ხარჯები მონაწილე ახალგაზრდულმა მუშაკებმა საკუთარ თავზე აიღეს. ეს ხარჯი მოიცავდა, როგორც შესაბამისი ონლაინ პლატფორმით სარგებლობის უფლების საფასურს, ისე ბენეფიციარი ახალგაზრდებისთვის მობილური ინტერნეტის დაფინანსებას:

„ბიუჯეტში არ იყო გაუთვალისწინებელი ხარჯების მუხლი და როდესაც, პანდემიის გამო, ონლაინზე გადავეწყვეთ, არ მოგვეცა საშუალება იმ ახალგაზრდებს დავხმარებოდით, ვისაც იმისი თანხაც არ ჰქონდა რომ მობილური ინტერნეტით ესარგებლა და „ზუმ“ შეხვედრებზე დაგვსწრებოდა“ [YW]

საქმიანობის ონლაინ რეჟიმში გადატანას თან ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი სირთულე ახლდა. გარდა ინტერნეტის საფასურისა, დამატებით პრობლემას წარმოადგენდა შესაბამისი მოწყობილობების არქონაც, რომელთაც ახალგაზრდები ინტერნეტთან დასაკავშირებლად გამოიყენებდნენ. ეს მოწყობილობები არც პროფსასწავლებლებს გააჩნდათ, რომ ახალგაზრდებისთვის დროებით სარგებლობაში გადაეცათ. ონლაინ გარემომ საფრთხე ინკლუზიურობასაც შეუქმნა. კერძოდ, სპეციალური საჭიროების მქონე (სსმ) პირების მდგომარეობის გათვალისწინება ვერ ხდებოდა, რადგან საჭირო იყო ახალ რეალობასთან სწრაფი ადაპტირება, ამისათვის კი პროგრამის არსებული სტრუქტურა მზად არ აღმოჩნდა:

„სმენადაქვეითებულ ახალგაზრდას ფიზიკურად არ ჰქონდა საშუალება, რომ „ზუმ“ პლატფორმით ესარგებლა და ამის გამო გამოგვეთიშა. არ ვიცოდით მსგავსი საჭიროების ახალგაზრდები ციფრულ პლატფორმებამდე როგორ უნდა მოგვეყვანა. ვეცადეთ სააგენტოსთან შუამდგომლობა გაგვეწია, თუმცა უშედეგოდ“ [YW]

ახალგაზრდული მუშაკების თქმით, ონლაინ სივრცეზე გადაწყობა ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი იყო. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ინტერნეტზე წვდომის

ტექნოლოგიური საშუალება არსებობდა, შესაბამისი ციფრული უნარების ქონა გამოწვევად რჩებოდა. იქამდე, სანამ საბოლოო არჩევანი „ზუმის“ პლატფორმაზე შეჩერდებოდა, არაერთი ონლაინ ინსტრუმენტის გამოყენება მოხდა. საჭირო ციფრული უნარების არქონის პრობლემა არამარტო ბენეფიციარ ახალგაზრდებთან, არამედ ახალგაზრდულ მუშაკებთანაც იდგა:

> *„ათეულობით პროგრამას ვიყენებდით, სანამ არჩევანი „ზუმზე“ შევაჩერეთ. ორგანიზატორებს [სააგენტოს] „ზუმის“ პაკეტი ჰქონდათ შეძენილი და ყველა მას ვიყენებდით. ყველაზე დიდი გამოწვევა მისი ფუნქციების სწორი მოხმარების შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება იყო. მათ კი არა, ჩვენც არ ვიცოდით როგორ გამოგვეყენებინა“ [YW]*

პროგრამაში მონაწილეობის შედეგად მიღებული სარგებელი

პროფესიული ქსელი - ფოკუს-ჯგუფების უკლებლივ ყველა მონაწილე ყველაზე დიდ შენაძენად პროფესიული კავშირების შექმნის შესაძლებლობას მიიჩნევდა. მაგალითად, ახალგაზრდული მუშაკების თქმით, სერტიფიცირების პროგრამაში მანაწილეობით, მთელი ქვეყნის მასშტაბით, კვალიფიციური და საიმედო ადამიანების შემოკრების შესაძლებლობა მიეცათ და ერთმანეთის მხარდაჭერას დღემდე აგრძელებენ:

> *„მნიშვნელოვანი იყო ის ქსელი, რომელიც ამ პროგრამის წყალობით შეიქმნა. ერთმანეთის მხარდაჭერას დღემდე ვეწევით. სოციალურ ქსელებში ჯგუფები გვაქვს და რელევანტურ ინფორმაციას ერთმანეთს აქტიურად ვუზიარებთ“ [YW]*

> *„მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ორგანიზაცია ახალგაზრდულ სფეროში უკვე წლების განმავლობაში მუშაობს, ბევრს ვიცნობთ და ბევრი გვიცნობს, ამ პროგრამის [მილიონიანი ფონდის საგრანტო კონკურსი] მეშვეობით, ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა ერთმანეთი კიდევ უფრო უკეთ გავიცანით. გამოცდილების, კონტაქტების, ინფორმაციის გაზიარებისთვის, ეფექტური ქსელი შევქმენით“ [MFG]*

პროფესიული განვითარება - პროგრამათა მიმდინარეობის ეტაპებზე წარმოშობილი არაერთი გამოწვევის მიუხედავად, მონაწილეთა უმრავლესობა ამბობს, რომ, ამა თუ იმ ფორმით, საკუთარი კომპეტენციების განვითარება შეძლო. თუმცა, ეს ძირითადად საკუთარი მონდომების ხარჯზე მოხდა:

> *„სტრატეგიის დოკუმენტებზე ვმუშაობდით. ფორმალურ პოლიტიკურ დოკუმენტებზე მუშაობის პირველი გამოცდილება იყო და ამ კუთხით არავინ დაგვხმარებია. ვისაც საკითხი გვაინტერესებდა, ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება დავიწყეთ. აღმოვაჩინე, რომ ძალიან საჭირო საქმე იყო. შესაბამისად, ამან ბიძგი მომცა სტრატეგიისა და პოლიტიკის დოკუმენტებში უკეთ გავრკვეულიყავი“ [YC_1]*

არიან ისეთებიც, ვინც ამ პროგრამების წყალობით საკუთარი მოწოდება იპოვა, ახალგაზრდულ სფეროში დარჩენა და პროფესიული კარიერის შექმნა გადაწყვიტა:

> *„დღეს რომ ახალგაზრდულ სფეროში ვარ და აქტიურად ვსაქმიანობ, სწორედ ამ კურსის [სერტიფიცირების პროგრამა] დამსახურება მგონია. ახალგაზრდებთან იქამდეც ვმუშაობდი, თუმცა ამ პროგრამამ ჩემი მუშაობა უფრო მეტად ფორმალიზებული, მოწესრიგებული გახადა. ახლა, გაცილებით უკეთეს შედეგებს ვდებ, ვიდრე - იქამდე“ [YW]*

არცერთი ახალგაზრდული მუშაკის ფინანსურ მდგომარეობაზე სერტიფიცირების პროგრამის დასრულებას, ანუ პროფესიული აღიარების მოპოვებას გავლენა არ მოუხდენია. იმის მიუხედავად, რომ პროფესიის შესახებ საზოგადოებაში ცნობიერების დონის ზრდა იგრძნობა, ეკონომიკურ საქმიანობაში არცერთი სერტიფიცირებული მუშაკის შემდგომი ჩართვა არ მომხდა. მათი აზრით, ოპტიმალური გადაწყვეტა სერტიფიცირებული ახალგაზრდული მუშაკების მუნიციპალურ დონეზე დასაქმება იქნებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს რისკი, რომ პროგრამის შედეგების მდგრადობის უზრუნველყოფა ვერ მოხდება, ანუ ეს ადამიანები, ვინც ახლა საკუთარი ენთუზიაზმის წყალობით საქმიანობენ, შესაძლოა სფეროს ჩამოშორდნენ:

> *„ფინანსურად არაფერი შეცვლილა. ისევ ჩვენი რესურსებით ვმუშაობთ. [სფეროს] პოპულარიზაციას აქვს თავისი პოზიტივები, თუმცა მატერიალური, ხელშესახები არაფერი. ვფიქრობ, სერტიფიცირებული მუშაკები საჯარო უწყებებმა უნდა დაასაქმონ, რათა საზოგადოებას უკეთ ემსახურონ. ახალგაზრდებთან*

მუშაობისათვის სპეციფიკური უნარებია საჭირო, საჯარო უწყებებში კი ეს ყოველთვის პრობლემა იყო“ [YW]

პროგრამის შედეგების მდგრადობა

მდგრადი შედეგი - პირველი მოწვევის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს შემთხვევაში, ერთადერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ მის საბჭოში საქმიანობას მდგრადი შედეგი მოჰყვა. მისი თქმით, საბჭოს წევრობა გახდა მიზეზი, რომ მისი ორგანიზაცია საკუთარ მუნიციპალიტეტში სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებისას მერიის მთავარი პარტნიორი გახდა:

„ჩემს მუნიციპალიტეტში სტრატეგიის დოკუმენტი დაიწერა. საბჭოში ჩემი მონაწილეობის გამო, ამ პროცესში ჩემი ორგანიზაცია მთავარი პარტნიორი გახდა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სწორედ საბჭოს წევრები ვიყავით ის ადამიანები, ვინც მერიას მოტივაციასა და ძალას ვაძლევდით, რომ ეს სტრატეგიის დოკუმენტი რამენაირად დაგვესრულებინა“ [YC_1]

გასაკვირი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ პროგრამის შედეგების მდგრადობის კუთხით, მილიონიანი ფონდის საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული პროექტები ყველაზე მეტად მდგრადნი აღმოჩნდნენ, მათ ხომ ამისთვის ყველაზე მეტი რესურსი გააჩნდათ:

„პროგრამის [მილიონიანი ფონდის საგრანტო კონკურსი] ფარგლებში შექმნილმა ორგანიზაციამ რამდენიმე გრანტი დამოუკიდებლად მოიპოვა და დღემდე აქტიურად საქმიანობს. თუმცა, ვერ გეტყვით, რომ ამ ახალგაზრდებს სამუშაო სივრცე სააგენტოს დამსახურებით აქვთ, რადგან თავად ვეცადეთ, რომ მუნიციპალიტეტს აღებული პასუხისმგებლობა შეესრულებინა“ [MFG]

„ამ პროგრამამ [მილიონიანი ფონდის საგრანტო კონკურსი] საშუალება მოგვცა რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში პარალელურად გვემუშავა. გადავამზადეთ ახალგაზრდები, რომლებმაც შემდეგ საკუთარ მუნიციპალიეტეტებში საინიციატივო ჯგუფები ჩამოაყალიბეს და საჭიროებებიდან გამომდინარე, მცირე გრანტები მიიღეს. ისინი

ახალგაზრდულ საქმიანობაში დღემდე აქტიურად არიან ჩართულნი. იქნება ეს მუნიციპალიტეტთან თუ სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით“ [MFG]

„ჩვენი სივრცე აქტიურად ფუნქციონირებს. მუნიციპალიტეტისგან გვაქვს მხარდაჭერა, რაც სივრცის უსასყიდლოდ დათმობას გულისხმობს. თვეში დაახლოებით 500-მდე უნიკალური ვიზიტორი გვყავს. ასევე, გვყავს 40 ადამიანი რომელიც ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობაში მონაწილეობს. ვმუშაობთ, რომ 2 წლის თავზე, იგი უკვე თვითმყოფადი იყოს, ანუ დამოუკიდებლად ფუნქციონირება შეეძლოს. ვთვლი, რომ პროექტი არის მდგრადი და შემდგარი“ [MFG]

არამდგრადი შედეგი - პირველი მოწვევის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს ყოფილმა წევრებმა, პროგრამის შედეგების მდგრადობაზე საუბარი ზედმეტადაც კი მიიჩნიეს. საბჭოს აქტიური ნაწილის თავდაუზოგავი შრომის მიუხედავად, არათუ შედეგების მდგრადობის უზრუნველყოფა, არამედ საბჭოს ერთწლიანი მანდატის სრულად განხორციელებაც კი არ გახდა შესაძლებელი. საბჭოს ყოფილი წევრები გულისტკივილით აღნიშნავდნენ, რომ არაპროპორციულად დიდი მოხალისეობრივი შრომის მიუხედავად, საერთოდ ვერ გრძნობდნენ რომ მათ საქმიანობას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა, ანუ მათი ხმა მართლაც ისმოდა:

„ინსტიტუციური მეხსიერების შექმნა გვინდოდა. გვსურდა მეორე მოწვევის ფარგლებში, ახალი ხალხი რომ მოვიდოდა, ჩვენს წინაშე წარმოქმნილ პრობლემებთან გამკლავების გამოცდილება მათთვის გაგვეზიარებინა. თუმცა, ეს არ გამოვიდა, რადგან წამოვედით [საბჭო დავტოვეთ]“ [YC_1]

„მე მანამდეც [იქამდე, სანამ სააგენტო სამინისტროს შეუერთდებოდა] არ მქონია იმის შეგრძნება, რომ ჩვენი მუშაობა რაიმე არსებით შედეგს იძლეოდა. შეხვედრებს ვმართავდით, რეკომენდაციებსა და უკუკავშირებს ვიძლეოდით, თუმცა საბოლოოდ მაინც ვერ ვგრძნობდი, რომ ჩვენი შრომა სადმე ისახებოდა. სააგენტოს სამინისტროსთან ისე შეერთება, რომ ჩვენ ამის შესახებ „ნიუსიდან“ შევიტყვეთ, ბოლო წვეთი იყო. თუმცა, ამგვარი დამოკიდებულებით საბჭო მაინც იმაზე ადრე დაიშლებოდა, ვიდრე უნდა დაშლილიყო“ [YC_1]

სერტიფიცირების პროგრამის დასრულების შემდეგ, არაერთგვაროვანი შედეგები დაიდო. ახალგაზრდული კლუბი მეტ-ნაკლებად ყველა ჩართული პროფსასწავლებლის ბაზაზე შეიქმნა, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში, პროგრამის დასრულების შემდეგ საქმიანობა კლუბებმაც შეწყვიტეს. იყო იშვიათი გამონაკლისები, როდესაც ბენეფიციარი ახალგაზრდები იმ ახალგაზრდულ კლუბებში დარჩნენ, რომლებიც პროგრამის ფარგლებში დაარსდნენ. თუმცა, ეს მოხდა მხოლოდ სხვა პროექტის ანდა ორგანიზაციის დამსახურებით და არა სისტემური ინსტიტუციური მიდგომის წყალობით, რომელიც იქნებოდა გარანტი, რომ ახალგაზრდული კლუბები საკუთარი საქმიანობით მდგრადობას შეინარჩუნებდნენ:

> *„ჩვენთან ეს პროცესები [არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელება] გაგრძელდა. პროექტის ფარგლებში შექმნილი კლუბი მოქმედი დარჩა. პროექტი დასრულდა, მაგრამ ბავშვები დარჩნენ. ახლა, სხვა ორგანიზაციამ მსგავსი პროექტი დაიწყო და ამ ფორმით გაგრძელდა საქმიანობა“ [YW]*

„ძირითადად, სადაც გაგრძელდა [ახალგაზრდული კლუბების საქმიანობა] ეს არის სხვა პროექტი და არა კოლეჯის ანდა სახელმწიფოს მონდომება, რომ მოდით პროფესიულ სასწავლებლებში ახალგაზრდული საქმიანობა განვახორციელოთ. ეს სისტემური მიდგომა არ არის, ანუ ძირითადად ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული გაგრძელდება თუ არა არაფორმალური განათლების მიმართულებით აქტივობები“ [YW]

სერტიფიცირების პროგრამის მონაწილეთა თქმით, პროგრამის კოლეჯებში პრეზენტირების დროს ჟღერდებოდა, რომ იდეა კოლეჯებში ახალგაზრდული მუშაკის სახელფასო შტატის შექმნას გულისმობდა, ანუ გადამზადებული მუშაკი კოლეჯში გააგრძელებდა საქმიანობას. თუმცა, შემდეგ ეს საკითხი საერთოდ ყურადღების მიღმა დარჩა. პროგრამის დასრულების შემდეგ, სერტიფიცირებული მუშაკების კოლეჯების ბაზაზე დასაქმება არ მომხდარა:

> *„ის იდეა, რაც იყო ჩადებული რომ კოლეჯების ბაზაზე გაგრძელდებოდა ახალგაზრდული მუშაობა, ანუ იქნებოდა განგრძობითი, მდგრადი ვერ ან არ განხორციელდა. ეფექტი არაა, დღეს აღარაა ის [პროფესიული სასწავლებლის წარმომადგენელი] ახალგაზრდული მუშაკი“ [YW]*

პროგრამის მიმდინარეობისას, ახალგაზრდული მუშაკები მოხალისეურივად იყვნენ ჩართულნი. უანგაროდ გასცემდნენ საკუთარ ფინანსურ თუ სხვა რესურსს, რათა პროექტი წარმატებით განეხორციელებინათ და ბენეფიციარი ახალგაზრდების მაგალითზე, სასიკეთო სოციალური ცვლილება გამოეწვიათ. პროგრამის დასრულების შემდეგ კი მათი ბედი ისევ ბუნდოვანია. აქამდე, ახალგაზრდულ საქმიანობას ანხორციელებდნენ ოფიციალური აღიარებისა და ფინანსური სარგოს გარეშე, ახლა - აღიარებით, მაგრამ კვლავ შესაბამისი მატერიალური სარგებლის გარეშე. აღნიშნული მდგომარეობა აჩენს მნიშვნელოვან რიკს, რომ სერტიფიცირებული ახალგაზრდული მუშაკები, შესაძლოა სფეროს ჩამოშორდნენ და დასაქმების შესაძლებლობა სხვა სფეროში ეძიონ:

> *„თუ შტატი გაჩნდებოდა, წამოვიდოდი იმ სამსახურიდან, სადაც ახლა ვარ და თავს სრულად ამ სფეროს მივუძღვნიდი, მაგრამ მუდმივად მოხალისეობრივად ვერ ვიმუშავებ. სააგენტოს მხრიდან უნდა ყოფილიყო ფინანსური წახალისება, მდგრადობისთვის ხელის შესაწყობად, რომ გადამზადებული ადამიანი ნამდვილად სფეროში დარჩენილიყო“ [YW]*

აბსოლუტურად ყველა ახალგაზრდულ მუშაკს აქვს გულისწყვეტა, რომ საკუთარი რესურსებით, ამხელა შრომის გაწევის შემდეგ, უწევთ შემსწრენი ხდებოდნენ იმისა, თუ როგორ ქრება მათი ნამუშევარი. ისინი პროგრამის შედეგების მდგრადობის უზრუნველყოფის კუთხით, სააგენტოს გარდა, მნიშვნელოვან პასუხისმგებლობას მუნიციპალიტეტებსაც აკისრებენ. ახალგაზრდული მუშაკების თქმით, არათუ პროგრამის დასრულების შემდგომ, მიმდინარეობის დროსაც კი მათი ჩართულობა მინიმალური ანდა საერთოდ ნულოვანი იყო:

> *„მუნიციპალიტეტში ერთ უბადრუკ, ძალიან მცირე ზომის ოთახში ვმუშაობდი, რომელიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის გვერდით იყო. ეს იმ დროს, როდესაც კოვიდპანდემია პიკს აღწევდა, ამიტომ სხვადასხვა ლოკაციის მოძიება მიწვედა. თუ ამინდი ხელს მიწყობდა აქტივობებს ღია სივრცეში ვატარებდით. ჩემი შემთხვევა იყო არაორდინალური და მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ თავად სააგენტოს წარმომადგენლებმაც არ იცოდნენ სად მიშვებდნენ“ [YW]*

„იმის მიუხედავად, რომ ახალგაზრდული მუშაკის როლის გაძიერება მუნიციპალიტეტის სტრატეგიაში გვიწერია, ეს არცერთ კონტექსტში არ სრულდება. დღემდე ვიბრძვით, რომ მუნიციპალიტეტებმა რაიმე მაინც გააკეთონ, რომ მთელმა შრომამ მხოლოდ ჩვენზე

არ გადაიაროს. თუმცა, აგერ უკვე ორი წელი გავიდა და მათი მხრიდან მაინც არანაირი მხარდაჭერა არაა“ [YW]

მილიონიანი ფონდის საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული ყველა პროექტის შედეგი მდგრადი როდი აღმოჩნდა. ერთ-ერთი გრანტიორის თქმით, იგი მუნიციპალიტეტის ყურადღების მიღმა დარჩა, ხოლო ახალგაზრდობის სააგენტო ნაცვლად მხარდაჭერის აღმოჩენისა მხოლოდ შუალედური ანგარიშების წარდგენის მოთხოვნით შემოიფარგლებოდა:

„მუნიციპალიტეტს განცხადებით მივმართავ, რომ სამუშაო სივრცე გამომიყონ. შეხვედრაზე დამიბარებენ, შემდეგ ჩემს განცხადებას სხვა უწყებასთან გადაამისამართებენ და მე შეხვედრაზე იქაც მივდვარ. მისმენენ, მაგრამ შედეგი არანაირი, ოდნავი მხარდაჭერაც კი არ მაქვს. მუნიციპალიტეტისგან სრულად ზურგშექცეული დავრჩი, ხოლო სააგენტო მხოლოდ ანგარიშებს მთხოვს. მათი მხრიდან შუამდგომლობაც არ მიმიღია“ [MFG]

ახალგაზრდობის სააგენტოს საქმიანობის მიმართ დამოკიდებულება

პოზიტიური დამოკიდებულება - ახალგაზრდობის სააგენტოს, როგორც დამოუკიდებელი ორგანოს, შექმნას აბსოლუტურად ყველა დისკუსანტი პოზიტიურ მოვლენად აფასებს. ითქვა, რომ მისი დაარსებით ნათელი წერტილი გაჩნდა, იმედი იმისა, რომ ახალგაზრდულ სფეროს მეტი ყურადღება მიექცეოდა. ახალგაზრდულ მუშაკთა მოსამზადებელი სასერტიფიკატო პროგრამა, ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო, მილიონიანი ფონდის საგრანტო კონკურსი, მობილური ახალგაზრდული მუშაკების მომზადების პროგრამა და მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარება, როგორც ინიციატივები, დადებითად და სფეროსათვის უაღრესად მნიშვნელოვნად შეფასდნენ. ახალგაზრდული საქმიანობის ოფიციალური აღიარება და მისი ცნობადობის ზრდა ყველაზე დიდ მიღწევად მიიჩნევა:

„ვგრძნობ, რომ ახალგაზრდული საქმიანობის აღიარებისა და დანერგვის კუთხით ბევრი ცვლილება მიმდინარეობს. იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მე ვმუშაობ, მინიმუმ ტერმინი [ახალგაზრდული მუშაკი] იციან და აღარ მიყურებენ, როგორც უცნაურ ადამიანს“ [YW]

პირველი მოწვევის მრჩეველთა საბჭოს ყოფილ წევრთა შეფასებით, უწყებების გაერთიანებით, რომელიც ახალგაზრდობის სააგენტოს შექმნას წინ უძღვოდა, ბიუროკრატია შემცირდა და საბიუჯეტო სახსრები მნიშვნელოვნად დაიზოგა. ახალგაზრდული სფერო მეტად ხილვადი გახდა, ხოლო ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებას, ანუ სააგენტოში საქმიანობას, სფეროში კარგად გათვიცნობიერებული პირები ანხორციელებდნენ.

გრანტის მიმღები ორგანიზაციების წარმომადგენლები მილიონიანი ფონდის საგრანტო კონკურსის გამო, ახალგაზრდობის სააგენტოს მისამართით პოზიტიურ შეფასებებს არ იშურებდნენ. მათი თქმით, ახალდაფუძნებული, რეგიონული ორგანიზაციების შესაძლებლობების ზრდისთვის მსგავსი მხარდაჭერა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, ამიტომ უკლებლივ ყველა მადლიერი იყო:

> *„ოპტიმიზმით სავსე ვიყავი. დავინახე, რომ თურმე რაღაც მაინც ხდება ნაცნობობის გარეშე. თურმე ჩემი შრომის საფუძველზე, რაღაც შეიძლება მოხდეს. ასე უანგაროდ, მხოლოდ იმიტომ რომ მე კარგი პროექტი დავწერე, დამაფასონ. ეს ძალიან კარგი იყო, რამაც თავდაჯერებულობა კიდევ უფრო ამიმაღლა“ [MFG]*

ნეგატიური დამოკიდებულება - მილიონიანი ფონდის საგრანტო კონკურსის მონაწილეები პროგრამის ადმინისტრირების ნაწილს მკვეთრად ნეგატიურად აფასებდნენ. აღნიშნული ახალგაზრდობის სააგენტოს საქმიანობის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების მიზეზიც გახდა:

> *„ჩვენი ორგანიზაცია გამოუცდელია. ყველა დონორი, რომელთან შეხებაც აქამდე გვქონია, კი არ გვაკრიტიკებდა, არამედ გვეხმარებოდა, ამიტომ ასეთი მკვახე მიდგომა ცოტა მეუცნაურება. იმდენი ვინერვიულეთ, დავიფიცეთ, რომ მსგავსი პროექტი აღარასდროს აღარ გვექნებოდა. გაგზავნილი ანგარიშები პატარა ნიუანსებზეც კი უკან გვიბრუნდებოდა. ანგარიშების თაობაზე რომ გვირეკავდნენ, სააგენტოს თანამშრომლების მხრიდან ცოტა აგრესიულად საუბრებიც კი მოდიოდა“ [MFG]*

„უხეშობის, კრიტიკის, ხმის წამოწევის მომენტები ნამდვილად იყო. ჩემთვის, ეს პროფესიონალური არ იყო. მათი [სააგენტოს წარმომადგენლების] მხრიდან პროფესიონალიზმი ნამდვილად დამაკლდა“ [MFG]

„კარგი იქნებოდა, რომ სააგენტოსგან გარდა 2 წლის განმავლობაში ანგარიშების ჩაბარების მოთხოვნისა, მხარდაჭერაც მიგვეღო. მაგალითად, როგორსაც სხვა ორგანიზაციებისგან ვიღებთ. ისინი ბოლომდე მოგვყვებიან. ყველაფერს გვასწავლიან, განაცხადის შევსებით დაწყებული და საბოლოო ანგარიშის წარდგენით დამთავრებული. სააგენტოსგან მსგავსი მხარდაჭერა არ მიგვიღია“ [MFG]

მილიონიანი ფონდის საგრანტო კონკურსის მონაწილეების კრიტიკა სააგენტომ გრანტის მიმღები ორგანიზაციების ოფიციალური წარმომადგენლების თბილისში პირადად ვიზიტის ვალდებულების გამოც დაიმსახურა. მაშინ, როდესაც საგრანტო პროგრამა რეგიონში არსებული ორგანიზაციების გაძლიერებაზე იყო მიმართული, მოთხოვნა, რომელიც გრანტიორებს ოფიციალური დოკუმენტების დასამოწმებლად დედაქალაქში ჩასვლას ავალდებულებდა, არარელევანტურად ჩაითვალა:

„რეგიონში მომუშავე ორგანიზაციები ძალიან დაჩაგრულები ვართ. აბსოლუტურად ყველაფერი თბილისში ხდება და ყველა ხელის მოწერაზე იქ გვარბენინებენ. მე ამას ყოველთვის ვაპროტესტებდი, რადგან პირადად ჩემთვის, ეს ძალიან დიდი დისკომფორტია. მგონია, რომ 21-ე საუკუნეში ამ პრობლემის სხვაგვარად გადაჭრა შესაძლებელი იყო“ [MFG]

პირველი მოწვევის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს ყოფილმა წევრებმა ახალგაზრდობის სააგენტოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან გაერთიანების შესახებ პირველად საინფორმაციო საშუალებებიდან შეიტყვეს. აღნიშნული გაერთიანების შესახებ, მათი რანგის მიუხედავად, სააგენტოს წარმომადგენლებისგან არანაირი ინფორმაცია არ მიუღიათ. სწორედ ამის გამო, საბჭოს წევრები სააგენტოს საქმიანობას უკიდურესად ნეგატიურად აფასებენ. გაჩნდა შიში, რომ სააგენტოს სამინისტროსთან მოულოდნელად შეერთება ახალგაზრდული სფეროსთვის დამაზიანებელი იქნებოდა, რადგან ახალგაზრდული სფეროს წარმომადგენლებთან, ანუ მათთან, ვინც სააგენტოს შექმნას წლების განმავლობაში ითხოვდა და მის შექმნაში იყო ჩართული, არანაირი კონსულტაცია არ გამართულა. გაერთიანების საკითხში გარკვევას საბჭოს წევრები დამოუკიდებლად ეცადნენ, თუმცა ეს მცდელობები არასაკმარისი აღმოჩნდა. წევრების უმრავლესობა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ პროცესში ჩართულობას აზრი აღარ ჰქონდა და საბჭო დატოვა[9]:

[9] ახალგაზრდობის სააგენტოს ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო, 23 წევრიდან 18-მა წევრმა დატოვა. 19 მარტი, 2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3GbgzV9 (ბოლოჯერ ნანახია: 3 ოქტომბერი, 2022).

„როდესაც სააგენტოს რეორგანიზაცია და სამინისტროსთან შეერთება ისე მოხდა, რომ ჩვენ ამის შესახებ სრულიად შემთხვევით „ნიუსიდან“ შევიტყვეთ, ზუსტად ეგ იყო იმის მაჩვენებელი, რომ ჩვენ მნიშვნელოვანნი საერთოდ არ ვიყავით“ [YC_1]

„მახსოვს სტატია დაიწერა, სათაურით - „მრჩეველთა საბჭოს რჩევა არ ჰკითხეს“. ეს ბოლო წვეთი იყო. ეს რომ არა, კიდევ ბევრი წევრი დაფიქრდებოდა და არ მიიღებდა ამ [საბჭოს დატოვების] გადაწყვეტილებას, მაგრამ სიტუაცია იმდენად სასაცილო გახდა, რომ უკვე არაფერი აღარ ღირდა“ [YC_1]

პირველი მოწვევის საბჭოს წევრების შეფასებით, მათ თავის დროზე სწორი გადაწყვეტილება მიიღეს, როდესაც საბჭო დატოვეს, რადგან საკუთარი დამოკიდებულებით, ახალგაზრდობის სააგენტომ ახალგაზრდული სფეროს სახელით საუბრისა და მოქმედების ლეგიტიმაცია დაკარგა, ხოლო ყველაფერი ნეგატიური, რასაც გაერთიანების შემდეგ ელოდნენ, უკვე მომხდარია:

„გაერთიანების გადაწყვეტილების შესახებ [სააგენტოს] თანამშრომლებმაც კი არ იცოდნენ. სამინისტროში კი ისეთი არავინ იყო, ვინც ახალგაზრდობის სფეროში ერკვეოდა. ძალიან რთული წარმოსადგენია, რომ იურისტი, რომელსაც ახალგაზრდებთან შეხება არასდროს ჰქონია, მიმართულების ხელმძღვანელი იქნებოდა. ზუსტად იმან განაპირობა ჩვენი წამოსვლა, რომ სააგენტომ ამ ყველაფრით ყველანაირი ლეგიტიმაცია დაკარგა, მხოლოდ ბიუროკრატია გაზარდა“ [YC_1]

„ის, რასაც ჩვენ ვშიშობდით და ვამბობდით წამოსვლისას [საბჭოს დატოვებისას], ჩემი აზრით, სააგენტოში უკვე მომხდარი და დასრულებულია“ [YC_1]

გარდა სამინისტროსთან გაერთიანების საკითხისა, ყველაზე მეტი ნეგატიური დამოკიდებულება სააგენტომ მეორე მოწვევის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს გამო დაიმსახურა. მთელი პროცესი, დაწყებული მონაწილეების დაკომპლექტებით და გაგრძელებული მისი შემდგომი საქმიანობით, მნიშვნელოვან ეჭვებს აჩენდა, რადგან ყველა ეს საკითხი გაუმჭირვალე და დაფარული იყო:

„ყველაზე ცუდი, რაც შეიძლებოდა სააგენტოს თავს გადახდომოდა მეორე მოწვევის ახლაგაზრდული

მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტების კონკურსი იყო. ჩვენ [მე და ჩემს მეგობრებს] განაცხადები გვქონდა გაკეთებული. შეფასების ქულები რომ გამოვითხოვეთ, მერე ვნახეთ რაც უკეთებიათ. ვისურვებდი, ის მავნე პრაქტიკა შეიცვალოს, რომელიც გამოვლინდა და საქმიანობა უფრო მეტად გამჭირვალე და ობიექტური გახდეს" [YW]

უკვლებლივ ყველა დისკუსანტის აზრით, სააგენტოში განხორციელებულმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა, რომელიც კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან მიერთებით იქნა გამოწვეული, ახალგაზრდულ სფეროზე ნეგატიური გავლენა იქონია. გამოითქვა წუხილი, რომ სააგენტო იმდენად აქტიური აღარ არის, როგორიც დამოუკიდებელ ორგანოდ ყოფნისას იყო. ყველაზე დიდი უკმაყოფილება მილიონიანი ფონდის მეორე საგრანტო კონკურსის მოულოდნელად, ყველანაირი უკუკავშირისა და დასაბუთების გარეშე შეწყვეტას მოჰყვა. მათ, ვისაც საკონკურსო განაცხადი ჰქონდათ შეტანილი, ვერ გაეგოთ თუ რატომ შეაჩერეს გამარჯვებულებისათვის ხელშეკრულებების გაფორმებამდე მისული პროცესი:

„შევიტანეთ განაცხადები და უცებ აღმოჩნდა, რომ გადარჩევისა და ყველაფრის შემდეგ, გამარჯვებულებისთვის თანხის გაცემის ბრძანებას სამინისტრომ უბრალოდ ხელი აღარ მოაწერა" [YW]

სააგენტოს სამინისტროსთან გაერთიანების შემდეგ, შეიცვალა ახალგაზრდული სფეროთი დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციის სტრატეგიაც. სააგენტოს საქმიანობა გაუმჭირვალე და დაფარული გახდა. დისკუსანტების თქმით, აბსოლუტურად არ აქვთ წარმოდგენა თუ რა ხდება ახლა ამ უწყებაში ან მათგან სამომავლოდ რას უნდა ელოდონ. იქნებ ამ გაურკვევლობის შეგრძნებითაა გამოწვეული ის ნეგატიური მოლოდინები, რაც უკლებლივ ყველა დისკუსანტს ჰქონდა:

„რომელ გამჭირვალობაზეა საუბარი, საერთოდ არ ვიცით რა ხდება, რა გეგმები აქვს სააგენტოს. ახალგაზრდებთან, ახალგაზრდულ მუშაკებთან, სფეროში ჩართულ სხვა ადამიანებთან კომუნიკაცია აბსოლუტურად შეწყდა" [YW]

„თუ რამე კარგი ისევ შერჩა [სააგენტოს], ეს უბრალოდ ინერციით არის. ბიუროკრატია უფრო ხისტი გახდა. გამჭირვალობა და ახალგაზრდული სფეროთი დაინტერესებული პირების ჩართულობა შემცირდა. სწორედ ამისი ნიშანია, რომ არსებულ [მეორე მოწვევის]

მრჩეველთა საბჭოსთან ფოკუს-ჯგუფების ჩატარების ყველანაირი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. ჩვენ დროს მსგავსი რამ არ მოხდებოდა. მეტიც, შესაძლოა საბჭოს წევრებს სააგენტოს მისამართით კრიტიკული რაღაცეებიც კი ეთქვათ. მაშინ [სამინისტროსთან გაერთიანებამდე] ღია იყო, ახლა - ჩაიკეტა" [YC_1]

„ის პროცესები, რომელიც ახლა სააგენტოში მიდის, აღარ მომწონს. ამის გამო, მათთან თანამშრომლობას არაფრის ფასად აღარ გავაგრძელებ. ვთქვი, რომ თავიდან ძალიან კარგად დაიწყო [სააგენტომ], ეს იყო სამთავრობო უწყებებსა და არასამთავრობო სექტორს შორის, ევროკავშირის ფინანსური დახმარებით, თანამშრომლობის უპრეცედენტო შემთხვევა. შემდეგ, ყველაფერი თავზე ჩამოგვეშალა. ჯერ იყო დირექტორის ძალით გადაყენება, მერე სხვა თანამშრომლების მიყოლა. ყველა ის საყრდენი, რომელზეც ახალგაზრდული სფერო იყო დაფუძნებული თავიდან ბოლომდე გააქრეს" [YW]

დასკვნა

ახალგაზრდობის სააგენტოს სამწლიანი რეფორმის შუალედური მონიტორინგი ფოკუსირდა სამწლიანი რეფორმის სამი ძირითადი პროგრამის - (ა) ახალგაზრდულ მუშაკთა მოსამზადებელი სასერტიფიკატო პროგრამა; (ბ) ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო (პირველი და მეორე მოწვევა) და (გ) მილიონიანი ფონდის საგრანტო კონკურსი, ხარისხისა და მდგრადობის შესწავლაზე. იმის მიუხედავად, რომ ახალგაზრდობის სააგენტოს საქმიანობის საკუთარი ანგარიშების საფუძველზე შეფასება ვერ მოხერხდა, რადგან მან შესაბამისი საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, ფოკუს-ჯგუფების მონაწილეების მხრიდან გაკეთებული შეფასებები სამიზნე პროგრამების შესარჩევ და განხორციელების ეტაპებზე, მიღებულ სარგებელზე, შედეგების მდგრადობასა და ახალგაზრდობის სააგენტოს საქმიანობის მიმართ არსებულ დამოკიდებულებებზე სიღრმისეულ წარმოდგენას ქმნის. ყველა თემატური ფოკუს-ჯგუფის მონაწილე აღნიშნავდა, რომ პროგრამების შესახებ ინფორმაცია საკმარისად აქტიურად ვრცელდებოდა, რომ დაინტერესებულ მხარეებს მათ შესახებ შეეტყოთ. სამივე პროგრამის შემთხვევაში, შერჩევის პროცესი უკლებლივ ყველა დისკუსანტის მიერ სამართლიანად შეფასდა. სერტიფიცირების პროგრამის მონაწილე დისკუსანტების თქმით, პროფესიული სასწავლებლების ჩართულობა ისეთი აქტიური არ გამოდგა, როგორსაც ისინი ელოდნენ, ხოლო კოლეჯის წარმომადგენლებთან ერთად მუშაობა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა, რადგან ეს უკანასკნელნი არ იყვნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონენი. პირველი მოწვევის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს ყოფილი წევრები მიიჩნევდნენ, რომ წარმატებული ჯგუფური დინამიკის შექმნა ვერ მოხერხდა. მათი აზრით, ამისი მთავარი მიზეზი წევრების მხრიდან საბჭოს მანდატის განსხვავებულად

გააზრება გახდა. სამივე თემატური ფოკუს-ჯგუფის მონაწილენი გულისწყვეტით აღნიშნავდნენ, რომ ორგანიზატორების მხრიდან აუცილებელ მენტორულ, ანუ ინფორმაციულ, მხარდაჭერას არასაკმარისად ანდა საერთოდ ვერ იღებდნენ. ფოკუს-ჯგუფების უკლებლივ ყველა მონაწილე ყველაზე დიდ შენაძენად პროფესიული კავშირების შექმნის შესაძლებლობას მიიჩნევდა. პროგრამათა მიმდინარეობის ეტაპებზე წარმოშობილი არაერთი გამოწვევის მიუხედავად, მონაწილეთა უმრავლესობა ამბობს, რომ, ამა თუ იმ ფორმით, საკუთარი კომპეტენციების განვითარება შეძლო. თუმცა, ეს ძირითადად საკუთარი მონდომების ხარჯზე მოხდა. პროგრამის შედეგების მდგრადობის კუთხით, მილიონიანი ფონდის საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული პროექტები ყველაზე მეტად მდგრადნი აღმოჩნდნენ. თავის მხრივ, პირველი მოწვევის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს ყოფილმა წევრებმა, პროგრამის შედეგების მდგრადობაზე საუბარი ზედმეტადაც კი მიიჩნიეს, ხოლო სერტიფიცირებული ახალგაზრდული მუშაკები ახალგაზრდულ სფეროში კვლავ საკუთარი რესურსებისა და ენთუზეაზმის წყალობით რჩებიან. ახალგაზრდობის სააგენტოს, როგორც დამოუკიდებელი ორგანოს, შექმნას აბსოლუტურად ყველა დისკუსანტი პოზიტიურ მოვლენად აფასებს. ითქვა, რომ მისი დაარსებით გაჩნდა იმედი, რომ ახალგაზრდულ სფეროს მეტი ყურადღება მიექცეოდა. უკლებლივ ყველა დისკუსანტმა წუხილი გამოთქვა, რომ სააგენტოს სამინისტროსთან შეერთება ახალგაზრდული სფეროსთვის დამაზიანებელი აღმოჩნდა. მათი თქმით, ისეთი შეგრძნება აქვთ თითქოს ახალგაზრდული სფერო უბრალოდ გაჩერდა, ერთ ადგილზე გაიყინა. გარდა სამინისტროსთან გაერთიანების საკითხისა, ყველაზე მეტი ნეგატიური დამოკიდებულება სააგენტომ მეორე მოწვევის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს გამო დაიმსახურა, რადგან პროცესები სრულად გაუმჭირვალედ მიმდინარეობდა. სააგენტოს სამინისტროსთან გაერთიანების შემდეგ, შეიცვალა ახალგაზრდული სფეროთი დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციის სტრატეგიაც. სააგენტოს საქმიანობა გაუმჭირვალე, დაფარული და გაურკვეველი გახდა. აბსოლუტურად ყველა დისკუსანტი იმედს გამოთქვამს, რომ ახალგაზრდობის სააგენტო უწინდებურად აქტიური გახდება, რომ ახალგაზრდული სფერო ისევ გამოცოცხლდება, თუმცა ვერცერთი მათგანი დამაიმედებელ პროგნოზს ვერ აკეთებს.

რეკომენდაციები

კვლევის ფარგლებში დამუშავებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ახალგაზრდობის სააგენტოს საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შესაძლებელია შემდეგი რეკომენდაციების შემუშავება:

- უზრუნველყოს საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება;
- უზრუნველყოს საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის კანონით განსაზღვრულ ვადაში გაცემა;
- უზრუნველყოს ახალგაზრდული სფეროთი დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის საკუთარ ბენეფიციარებთან, აქტიური, ღია და ორმხრივი კომუნიკაცია;
- უზრუნველყოს ახალგაზრდობის სფეროს განვითარების ის ტემპი, რომელიც სამინისტროსთან გაერთიანებამდე ჰქონდა;
- უზრუნველყოს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან ახალგაზრდულ საკითხებზე თანამშრომლობის გააქტიურება;
- უზრუნველყოს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ახალგაზრდულ საკითხებზე თანამშრომლობის გააქტიურება;
- უზრუნველყოს ახალგაზრდული სფეროს განვითარებისთვის აუცილებელი ფინანსური და სხვა რესურსების მობილიზება;
- უზრუნველყოს საკუთარი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება;